„ყველა პრობლემა საჩუქარია, მათ გარეშე ვერ გავიზრდებით“

ენტონი რობინსი

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანის საჯარო სკოლის მე-9 და მე-10 კლასში მოსწავლეთა შორის, სასწავლო პროცესში, თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარება

საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის

ა ნ გ ა რ ი შ ი

მაია ჩაჩხიანი - სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანის საჯარო სკოლა - მათემატიკის მასწავლებელი

2018 წელი

სარჩევი

შესავალი.....4

თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა.....6

1.1 საკვლევი საკითხის განსაზღვრა და მისი აქტუალობის

დასაბუთება.....6

1.2 კვლევის სამოქმედო გეგმა.....8

1.3 მთავარი საკვლევი კითხვის, ქვეკითხვების შერჩევა და ჩამოყალიბება.....9

1.4 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები.....11

1.5 კვლევის მიზანი და ჰიპიტეზა.....12

თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა.....13

თავი III. მონაცემთა შეგროვების ხერხები.....23

3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი.....23

3.2 კვლევაში გამოყენებული შერჩევის სტრატეგია.....23

3.3 კვლევის ინსტრუმენტები.....24

3.3.1. თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტები.....24

3.3.2. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები.....25

თავი IV კვლევის შედეგები.....26

4.1. შეგროვებული ინფორმაციის რაოდენობრივი ანალიზი.....26

4.2. შეგროვებული ინფორმაციის თვისობრივი ანალიზი.....38

4.3. კვლევის ძირითადი მიგნებები და დასკვნები.....44

თავი V. ინტერვენცია. ინტერვენციის აღწერა და მისი შედეგები.

ინტერვენციის შეფასება.....45

5.1. დაგეგმილი ინტერვენციები.....45

5.2. ინტერვენციების აღწერა.....46

5.3. ინტერვენციის შეფასების ინსტრუმენტები.....48

5.4. ინტერვენციის შეფასება მასწავლებლების მიერ.....48

5.5. ინტერვენციის შეფასება მოსწავლეების მიერ:.....50

თავიVI. კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები.....54

6.1. კვლევის მიზნებები.....54
6.2. კვლევის რეკომენდაციები.....55
თავიVII. კვლევის შედეგების გაზიარება.....55
დასკვნა.....57
ბიბლიოგრაფია.....58
დანართი N1.....59
დანართიN2.....62
დანართიN3.....64
დანართიN4.....65

შესავალი

სწავლა-სწავლების თანამედროვე მოთხოვნების და მიდგომების შესაბამისად, როცა აქცენტი გაკეთებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე, დიდ მნიშვნელობას იძენს მოსწავლესა და მოსწავლის შედეგებზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა. ამ პროცესის წარმართვას უზრუნველყოფს გაკვეთილზე გამოყენებული თანამედროვე სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენება. ამ სტრატეგიებს და მეთოდებს შორის თანამშრომლობითი სწავლა ყველაზე მოქნილი, ეფექტური მეთოდია, რომელიც ზუსტად მოსწავლეზეა ორიენტირებული. თანამშრომლობითი სწავლის პროცესში ამოსავალი წერტილი მოსწავლეა, ჩემი აზრით, ამ დროს იგი აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში, უფრო ავლენს თავის შესაძლებლობებს და ინტელექტუალურ დონეს, გააზრებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა დასახული მიზნის მიღწევისათვის, ვლინდება მისი სოციალური და პიროვნული თვისებები. ამავე დროს თანამშრომლობითი სწავლა ამ უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მასწავლებელმა თავის პედაგოგიურ პრაქტიკაში გაითვალისწინოს ძირითადი მეთოდური ორიენტირი, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმითაა განსაზღრული და რომელიც მოსწავლის ჩართულობას გვავალდებულებს სასწავლო პროცესში, კერძოდ, („მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ განათლების მიღების პროცესში, ასევე საშუალება უნდა ჰქონდეთ ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც“. **ეროვნული სასწავლო გეგმა. 2018-2024. თავი III. ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები. მუხლი 15. მოსწავლეთა ჩართულობა.)**

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის თემატიკასთან დაკავშირებით ჩვენ მასწავლებლები აქტიურად ვმონაწილეობთ სხვადასხვა ტრენინ-პროგრამაში, ვეცნობით სტატიებსა, გზამკვლევებს, შესაბამის პროფესიულ ლიტერატურას, პრობლემა მაინც მეტად აქტუალურია.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის პრობლემების შესახებ განხორციელებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიშს. კვლევა ჩავატარე სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანის საჯარო სკოლის მე-9 და მე-10 კლასებში 2017 წლის დეკემბრიდან 2018 წლის მაისის ჩათვლით.

კვლევის პროცესში შევისწავლე თანამშრომლობითი სწავლების გაუმჯობესების გზები მცირეკონტინგენტიან სკოლაში. შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით შესწავლილია თანამშრომლობითი სწავლების შესახებ მასწავლებლებისა და მოსწავლეების დამოკიდებულებები. მოხდა პრობლემების იდენტიფიცირება, პრობლემების მიზეზების აღმოჩენა და დადგენა. მოხერხდა პრობლემების გადაჭრის გზების ძიება და პოვნა. კვლევის საწყის ეტაპზე სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობითი სწავლებად მიიჩნევდნენ მოსწავლეთა ორგანიზების ხერხებს - წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობას. საწყის ეტაპზევე გამოიკვეთა, რომ თანამშრომლობითი სწავლების აქტიურად დანერგვას ხელს უშლიდა ორი ძირითადი ფაქტორი:

- ამ საკითხზე ინფორმაციის ნაკლებობა;
- და მოლოდინი, რომ თანამშრომლობითი სწავლების დანერგვის შემთხვევაში შესაძლოა გართულდეს კლასის მართვა და გაკვეთილის მიზნების მიღწევა.

დავგეგმე ინტერვენციები, განხორციელებულმა ინტერვენციამ გამოიწვია პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე ზემოქმედება, რის შედეგადაც ამაღლდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა არსებული ცნობიერება, მოხდა ახალი ცოდნის გენერირება, მიღებული ცოდნის გამოყენება და დანერგვა სასწავლო პროცესში, და რაც მთავარია, ამან ხელი შეუწყო სასწავლო პროცესში მოსწავლეთა სწავლა-სწავლების ხარისხისა და მათი აკადემიური შედეგების გაუმჯობესებას.

ნაშრომი შედგება შესავალისაგან და შემდეგი თავებისაგან:

თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა. საკვლევი საკითხის განსაზღვრა და მისი აქტუალობის დასაბუთება, მკვლევართა ჯგუფის შექმნა, მთავარი საკვლევი კითხვის, ქვეკითხვების შერჩევა და ჩამოყალიბება, პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები, კვლევის მიზანი.

თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა.

თავი III მონაცემთა შეგროვების ხერხები.

თავი IV. კვლევის შედეგები;

თავი V ინტერვენცია. ინტერვენციის აღწერა და მისი შედეგები; ინტერვენციის შეფასება

თავი. VI კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები.

თავი. VII კვლევის შედეგების გაზიარება.

დასკვნა.

წარმოდგენილ თავებში დეტალურად განვიხილავ კვლევის თითოეულ ეტაპზე განხორციელებულ პროცესებს და შესაბამის დასკვნებს.

თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა

აღნიშნულ თავში წარმოდგენილია საკვლევი საკითხის შერჩევის და განსაზღვრის, მისი აქტუალობის დასაბუთების, პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზების, კვლევის მიზნების, კვლევის პროცესში დაგეგმილი აქტივობების განხორციელების დროისა და ვადების შესახებ. ასევე მოცემულია ინფორმაცია კვლევის ამ ეტაპზე პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

1.1. საკვლევი საკითხის განსაზღვრა და მისი აქტუალობის დასაბუთება

მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის პრობლემა გამოიკვეთა ჩემი საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკიდან, ამიტომ გამიჩნდა დიდი ინტერესი საკვლევ საკითხის შერჩევისას სწორედ საკვლევ თემად განმესაზღვრა მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლა. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგად, მიუხედავად თითქოსდა ერთმანეთის მიმართ მეგობრული და კარგი დამოკიდებულებებისა, შეიმჩნეოდა მოსწავლეებში ერთმანეთის მიმართ, მალულად თუ აშკარად, ქცევითი და ემოციური პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიდა გაკვეთილზე მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარებას.

თვალსაჩინო გახდა ის, რომ, მოსწავლეები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას:

- ნაკლებად იჩენდნენ ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობას და გაგებას,
- ნაკლებად აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობის ნება,
- სურვილსაც არ გამოთქვამდნენ წამოჭრილი პრობლების ერთობლივად გადაწყვეტის შესახებ,
- საგაკვეთილო აქტივობების შესრულების დროს ერთმანეთის მიმართ უყურადღებობას ამჟღავნებდნენ, ან სხვის მიერ შესრულებულ აქტივობას უარყოფითი, ხანდახან კი აგრესიული კომენტარით ეხმაურებოდნენ.
- დარღვეული იყო ბალანსი პიროვნულ თავისუფლებასა და ჯგუფში მჭიდრო ურთიერთობებს შორის.

მოსწავლეებზე დაკვირვებისას უფრო და უფრო აშკარად იკვეთებოდა, რომ მათ უჭირდათ:

- ✓ თანატოლებთან ახლო ურთიერთობების დამყარება, რათა ჰარმონიულად ემოქმედათ ერთმანეთთან;
- ✓ ეფექტური კომუნიკაციის დამყარება;
- ✓ ერთმანეთის დახმარება და ზრუნვა;
- ✓ ერთობლივად წინარე ცოდნის გახსენება, ამ ცოდნის სტრუქტურირება და გამოყენება;
- ✓ გაკვეთილზე წარმოდგენილ დავალებებში ერთობლივად პრობლემის იდენტიფიცირება;
- ✓ მოეძიათ ერთობლივად პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ალტერნატიული გზა;
- ✓ ერთობლივად ჩაეტარებინათ სიტუაციის ანალიზი და შეერჩიათ ამ გზებს შორის საუკეთესო ვარიანტი;
- ✓ ურთიერთგაგება;
- ✓ ერთმანეთის აზრის პატივისცემა;
- ✓ მოესმინათ და გაეზიარებინათ ერთმანეთსათვის თავიანთი მოსაზრებები;
- ✓ ერთმანეთს დახმარებოდნენ და ერთობლივად ჩამოეყალიბებინათ ახალი იდეები და აზრები;
- ✓ გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის მათი იდეები და შეხედულებები.

ჩემმა დაკვირვებამ და პედაგოგიურმა გამოცდილებამ გამოკვეთა, რომ მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესში ნაკლებად აქვთ განვითარებული კომუნიკაციისა და ერთმანეთთან სოციალიზაციის უნარები, შესაბამისად იკვეთება გაკვეთილზე მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის ნაკლებობა (ეს უნარები მჭიდროდ არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული). მიუხედავათ იმისა, რომ არსებობს უამრავი მეთოდური ლიტერატურა თუ სტატია, რომელსაც მასწავლებლები ვეცნობით, გავლილი გვაქვს ტრენინგ-კურსები, პედაგოგები ვაგროვებთ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელსაც აქტიურად ვიყენებთ სასწავლო პროცესში, ძალისხმევას არ ვიშურებთ, რათა ეს პროცესი იყოს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული და შესაძლებლობებზე ორიენტირებული, საგაკვეთილო პროცესის წარმართვისას მაინც ვრჩებით გარკვეული პრობლემების და გამოწვევების წინაშე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია იდენტიფიცირებული პრობლემა ხელს გვიშლის გაკვეთილზე თანამშრომლობითი სწავლების დანერგვასა და ამით, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევაში.

ამიტომ ჩემთვის უფრო მეტად პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი გახდა პედაგოგიური კვლევის საშუალებით შემესწავლა ეს საკითხი. რით იყო განპირობებული მოსწავლეებში სოციალური უნარების დაქვეითება, რა არის მიზეზი აღნიშნული პრობლემისა, გამიჩნდა მოსაზრება - ხომ არ შემეძლო მოსწავლეთა სოციალური უნარები თანამშრომლობითი სწავლების საშუალებით განმევითარებინა? თუ ასე აღმოჩნდებოდა, მაშინ დამედგინა, როგორ მომეხერხებინა საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარება, ანუ მომეძებნა პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები, სწავლების რომელი მეთოდების და სტრატეგიების გამოყენება დამეხმარებოდა პრობლემის გადაჭრაში, ამავე დროს, უფრო ღრმად და საფუძვლიანად მიმეღო ამ მიმართულებით თეორიული ცოდნა.

1.2. კვლევის სამოქმედო გეგმა

როდესაც ასე მწვავედ გამოიკვეთა ზემოთ აღნიშნული პრობლემა, ჩემთვის მიზნობრივი მნიშვნელობა შეიძინა, შემეფასებინა და შემეცვალა კლასებში არსებული სიტუაცია და საბოლოოდ გამეკეთებინა დასკვნები. შევხვდი კოლეგებს გავაცანი ჩემი ინიციატივა კვლევის ჩატარებასთან დაკავშირებით. დაინტერესებულმა მასწავლებლებმა ვიმსჯელეთ ზემოთაღნიშნულ ვითარებასთან მიმართებაში, რომელიც გაკვეთილებზე შეიმჩნეოდა. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მათგანს უშუალო კავშირი აქვთ მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებთან, ისინი ამ კლასების მასწავლებლები არიან. საბოლოოდ შევჯერდი მე-9 და მე-10 კლასში ყველაზე მეტად არსებულ პრობლემაზე, ჩამოვაყალიბე ძირითადი საკვლევი საკითხი, პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები და დავადგინე კვლევის მიზანი. განვსაზღვრე, კვლევის რა ინსტრუმენტებს გამოვიყენებდი. შემეგროვებინა მონაცემები, დამემუშავებინა ეს მონაცემები, ჩამეტარებინა ამ მონაცემების ანალიზი, გამომეკვეთა ძირითადი მიგნებები, დამეგეგმა და განმეხორციელებინა ინტერვენციები, მომეხდინა ამ ინტერვენციის შეფასება, გამომეტანა შესაბამისი დასკვნები და მომემზადებინა კვლევის ანგარიში.

შევადგინე სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია შეხვედრის თარიღები და კვლევის პროცესში დაგეგმილი აქტივობების განხორციელების დრო და ვადები.

ცხრილი N1: კვლევის სამოქმედო გეგმა

N	აქტივობა	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
1	პრობლემის იდენტიფიცირება	X					
2	პროფესიული ლიტერატურის დამუშავება	X	X				
3	კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	X					
4	ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან კითხვარის შედგენისთვის	X					
5	კითხვარის შედგენა, დამუშავება (იხ. დანართი N1)	X	X				
6	ანკეტირება მოსწავლეებთან		X				
7	მასწავლებლებთან ინტერვიუსათვის სადისკუსიო კითხვების შემუშავება		X				
8	ინტერვიუ მასწავლებლებთან		X				
9	მიღებული შედეგების ანალიზი			X			
10	სავარაუდო ინტერვენციების განხილვა			X			
11	ინტერვენციის განხორციელება			X	X	X	
12	ინტერვენციის ანალიზი						X
13	ინტერვენციის შეფასება მასწავლებლების მიერ						X
14	ინტერვენციის შეფასება მოსწავლეების მიერ						X
15	კვლევის ანგარიშის მომზადება					X	X
16	პრეზენტაცია სასაკოლო საზოგადოებასთან, შედეგების გაცნობა და გაზიარება						X

1.3.მთავარი საკვლევი კითხვის, ქვეკითხვების შერჩევა და ჩამოყალიბება

მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის თემატიკასთან დაკავშირებით პროფესიული ლიტერატურის დამუშავების შემდეგ, ვიმსჯელე და ჩვენთვის პრიორიტეტული

საკითხთან მიმართებაში, რომელიც შეეხებოდა მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეთა შორის თანამშრომლობით სწავლას, შევარჩიე, შევჯერდი და საბოლოოდ ჩამოვაყალიბე მთავარი **საკვლევი კითხვა - როგორ უზრუნველვყოთ გაკვეთილზე, სასწავლო პროცესში, მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარება.**

ამავე დროს გავიაზრე, რომ კვლევის მთავარ კითხვაში წარმოდგენილი პრობლემის მიზეზების დადგენაში დამეხმარებოდა შემდეგ ქვეკითხვებზე პასუხის გაცემა:

- რამდენად აქვთ გათვითცნობიერებული პედაგოგებს მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის როლი და მნიშვნელობა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე.
- იციან პედაგოგებმა, თუ რატომ არის სოციალური უნარები მნიშვნელოვანი?
- რამდენად უწყობს ხელს მოსწავლის სოციალური უნარები გაკვეთილის პროცესში მათ თანამშრომლობით სწავლას ხელს;
- რამდენად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში პედაგოგები თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს და სტრატეგიებს;
- აცნობენ თუ არა მასწავლებლები მოსწავლეებს თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს და სტრატეგიებს;
- ეცნობიან თუ არა მასწავლებლები თანამშრომლობითი სწავლის თემატიკაზე სხვადასხვა პროფესიულ ლიტერატურას თუ სტატიას;
- თანამშრომლობენ თუ არა ერთმანეთთან მასწავლებლები და თუ უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას;

შევადგინე სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია კვლევის განსახორციელებლად საჭირო აქტივობები და პროცედურები.

უნდა აღინიშნოს, რომ შერჩეული საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის რადგან „სოციალურ-ემოციური სწავლება – არის პროცესი, რომლის დროსაც ბავშვები და მოზარდები იძენენ და ეფექტიანად იყენებენ ცოდნას, დამოკიდებულებას და უნარებს, რომლებიც საჭიროა ემოციების გასაგებად, პოზიტიური მიზნების განსასაზღვრად და მისაღწევად; გრძნობენ და ამჟღავნებენ ემპათიას სხვების მიმართ, ამყარებენ და ინარჩუნებენ პოზიტიურ ურთიერთობას და იღებენ საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს." (**„სოციალურ – ემოციური სწავლების სიკეთე", www.mastsavlebeli.ge, 24 აპრილი, 2018 საჯაია მ.**) და ასევე მნიშვნელოვანია გაკვეთილზე სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, რამეთუ გაიზრდება

მოსწავლეთა ჩართულობა და მოტივაცია, გაკვეთილი გახდება ინტერაქტიული და მოსწავლესა და მის შედეგზე ორიენტირებული. მოსწავლეებს ექნებათ უკეთესი შედეგები სწავლაში, მათი აკადემიური მოსწრება გაიზრდება. გახდებიან თვითდაჯერებულები და გაიზრდება მათი თვითშეფასება, ადვილად გადაჭრიან კონფლიქტურ სიტუაციებს, თავიდან ავიცილებთ გაკვეთილის პროცესში თანატოლებისაგან გარიყვას, ერთმანეთს კარგად შეეწყობიან და შემცირდება ერთმანეთის მიმართ აგრესია , ფარული თუ ხილული და ა. შ.

1.4.პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები:

- მოსწავლეებში სოციალური უნარ-ჩვევების ნაკლებობა;
- მოსწავლეებს უჭირთ დაამყარონ ურთიერთობა სასწავლო გარემოსთან და გარშემომყოფებთან;
- მოსწავლეებს ნაკლებად შეუძლიათ საკუთარი გრძნობების გაგება და გამოხატვა, სხვათა თანაგრძნობა და სათანადოდ რეაგირება;
- მოსწავლეებს აქვთ ნაკლები თვითშეფასება, არა აქვთ საკუთარი თავის რწმენა და იმედი, რომ წარმატებული იქნება თავის საქმიანობაში, სხვებთან ურთიერთობისას ან სხვა მოსწავლეებთან თანამშრომლობის დროს;
- მოსწავლეებში შეიმჩნევა სხვისი როლის გათავისების უნარის უქონლობა. მათ არ შეუძლიათ მოვლენები დაინახონ სხვა მოსწავლეების თვალთახედვიდან, თანაუგრძნონ სხვა მოსწავლეებს;
- გაკვეთილზე თანამშრომლობითი სწავლის მეთოდების ნაწილობრივ გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, მასწავლებლები უმეტესწილად მხოლოდ წყვილებში მუშაობას და ჯგუფური მუშაობას იყენებენ საგაკვეთილო პროცესში, ამრიგად, მოსწავლეებს შორის თანამშრომლობის სიმცირეს განაპირობებს მასწავლებლებსა და მოსწავლეებში თანაშრომლობითი სტრატეგიების და მათი გამოყენებისა და დადებითი შედეგების არ ცოდნა;

- მასწავლებლებმა ნაწილობრივ იციან თანამშრომლობითი სწავლის სხვადასხვა მეთოდების შესახებ;
- მასწავლებლებს სრულყოფილად არ აქვთ გათვითცნობიერებული მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის როლი და მისი გამოყენების მნიშვნელობა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე.
- მასწავლებლები ნაკლებად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და შესაბამისად ნაკლებად უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას;
- მასწავლებლები არ ეცნობიან თანამშრომლობითი სწავლის თემატიკაზე სხვადასხვა პროფესიულ ლიტერატურას თუ სტატიას;
- შესაბამისად ნაკლებად ხდება მასწავლებლების მხრიდან მოსწავლეებისათვის თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებისა და სტრატეგიების გაცნობა;
- მასწავლებლები აქტიურად არ მონაწილეობენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა საქმიანობებში;

1.5. კვლევის მიზანი და ჰიპოტეზა:

კვლევის მიზანი: გამოკვლეულ და შესწავლილ იქნას, რამდენად იყენებს მასწავლებელი სასწავლო პროცესში თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს და სტრატეგიებს, როგორ აქვთ განვითარებული მოსწავლეებს პიროვნული და სოციალური უნარები, რამეთუ ეს უნარები ხელს უწყობს ამ პროცესში თანამშრომლობითი სწავლის მეთოდების ეფექტურად და ეფექტიანად გამოყენებას და დანერგვას, როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ამ უნარების განვითარებაში, როგორ უზრუნველვყოთ მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარება, გამოინახოს გამოკვეთილი პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები. კვლევის შედეგებისა და დასკვნების საფუძველზე დაიგეგმოს და განხორციელდეს ცვლილებები, რომლებიც მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითს სწავლას შეუწყობს ხელს და რეალურად გააუმჯობესებს მოსწავლეთა სწავლა-სწავლების ხარისხს, რომელიც აამაღლებს მათ აკადემიური მოსწრებას.

კვლევის ჰიპოტეზა: თანამშრომლობითი სწავლის დანერგვა სკოლაში ეფექტურია თუ გაძლიერდება სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა თანამშრომლობა და სწავლების ამ ფორმის შესახებ ინფორმირებულები იქნებიან მოსწავლეები.

თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა

მოსწავლეთა თანამშრომლობითი სწავლა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას. აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით ჩატარებულია კვლევები და შექმნილია მეთოდური ლიტერატურა, შემუშავებულია მეთოდები და სტრატეგიები, მაგრამ ის კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად განათლების სფეროში, არა და სწავლების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მეთოდი თანამშრომლობითი სწავლაა.

წიგნში - „ეფექტური სწავლება სკოლაში“, კვლევებზე დაფუძნებული სწავლება, რომლებიც აუმჯობესებენ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას, (რობერტ ჯ. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, ჯეინ ი. ფოლოქი გვ. 100-110), თანამშრომლობითი სწავლის შესახებ ნათქვამია, რომ მოსწავლეთა დაჯგუფების პრაქტიკა 1867 წლიდან იღებს სათავეს. გამახვილებულია ყურადღება იმ მეთოდებზე, რომლებიც შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს კლასში მოსწავლეთა დასაჯგუფებლად. თანამშრომლობითი სწავლების სფეროში გამოკვეთილი სპეციალისტების დევიდ ჯონსონისა და როჯერ ჯონსონის (1999) მიხედვით მოყვანილია ამ მეთოდის 5 განმსაზღვრელი ელემენტი:

1. პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება;
2. ურთიერთგამხნევება;
3. ინდივიდუალური და ჯგუფური ანგარიშვალდებულება;
4. ინტერპერსონალური და პატარა ჯგუფში მუშაობის უნარები;
5. ჯგუფის წინსვლა;

კვლევებიდან და ნაშრომიდან (ჯონსონის, მარუია ნელსონს და სკოტი, 1981) გამოტანილია დასკვნები, რომ როდესაც თანამშრომლობით სწავლას მოსწავლეთა შორის კონკურენციაზე ორიენტირებულ მეთოდებს ვადარებთ, თანამშრომლობითი სწავლა უფრო ეფექტურია და როდესაც თანამშრომლობით სწავლას ადარებენ აქტივობებს, რომლებიც მოსწავლის ინდივიდუალურ დავალებებზეა ორიენტირებული, სწავლის ეფექტი ასევე მაღალია. ასე, რომ მოსწავლეთა ჩართვა თანამშრომლობითი სწავლაში ძალიან ეფექტური მეთოდია.

აქვე წარმოდგენილია დასკვნები იმ მასწავლებლებისათვის, რომლების მის პედაგოგიურ პრაქტიკაში სურთ თანამშრომლობით სწავლაზე მიმართული აქტივობები დაგეგმონ:

❖ ნაკლებად მიზანშეწონილია მოსწავლეთა ჯგუფებად დაყოფა შესაძლებლობების მიხედვით;

❖ სასურველია თანამშრომლობითი ჯგუფები იყოს პატარა;

❖ თანამშრომლობითი სწავლა სასარგებლო აქტივობაა, მაგრამ ზედმეტად ხშირად არ უნდა გამოვიყენოთ;

წიგნში **„მასწავლებლის წიგნი, ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში“,** (მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2015 სოფიკო ლობჟანიძე, მაია ფიჩხაძე, მანანა რატიანი, ნინო ლომიძე, ნინო ჭიაბრიშვილი, რუსუდან თედორაძე, მაია ჯალიაშვილი) წარმოდგენილია და აღწერილია თანამშრომლობითი სწავლების ძალზე საინტერესო მეთოდები. აღწერილია თითოეული მეთოდი და ამ მეთოდთა მიმდინარეობა, მითითებულია თუ როდის, გაკვეთილის რომელ ეტაპზე შეიძლება გამოყენებულ იქნას თითოეული მათგანი, რა უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა ამ მეთოდების წარმატებით გამოყენებისას, მოცემული აგრეთვე მეთოდთა თეორიული და პრაქტიკული დასაბუთება, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოტანილია დასკვნები პრაქტიკული გამოცდილებიდან და სხვა.

ეს მეთოდებია:

❖ ინტერვიუ სამი ნაბიჯი ;

„მეთოდის აღწერა 1. მასწავლებელი ირჩევს საკითხს/პრობლემას, აყალიბებს მიზანს და აცნობს კლასს; 2. კლასში ყველა მოსწავლე ამზადებს კითხვებს საკითხის/პრობლემის ირგვლივ ინტერვიუსთვის; 3. ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს სამკაციან ჯგუფებად/ ტრიადებად და უხსნის მეთოდის არსს – ინტერვიუ სამ წრედ მიმდინარეობს, მაშასადამე, ტრიადის თითოეული მოსწავლე გამოდის როგორც ინტერვიუერის, ასევე რესპონდენტისა და დამკვირვებლის როლში; თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები. ინტერვიუ სამი ნაბიჯი სოფიკო ლობჟანიძე 62 პირველი ნაბიჯი – მოსწავლე A ინტერვიუს იღებს მოსწავლე B-სგან, ხოლო მოსწავლე C, როგორც დამკვირვებელი, აკეთებს ჩანაწერებს, ე.ი. ინიშნავს არსებითს ინტერვიუერისა და რესპონდენტის საუბრიდან; მეორე ნაბიჯი – მოსწავლე B ინტერვიუს იღებს მოსწავლე C-სგან, ხოლო მოსწავლე A, როგორც დამკვირვებელი, ინიშნავს ძირითადს; მესამე ნაბიჯი – მოსწავლე C ინტერვიუს იღებს მოსწავლე A-სგან,

ხოლო მოსწავლე B, როგორც დამკვირვებელი, ინიშნავს ძირითადს. თითოეული ინტერვიუსთვის განკუთვნილი დრო მასწავლებელმა / მოდერატორმა უნდა დაადგინოს. მაგ., 5 წუთი. მაშასადამე, სამივე ინტერვიუს ამ შემთხვევაში დაეთმობა 15 წუთი. 4. შემდეგ ორ-ორი სამკაციანი ჯგუფი გაერთიანდება ექვსკაციან ჯგუფად. ჯგუფის ექვსივე წევრი წინა ეტაპზე უკვე იყო დამკვირვებელი და აქვს ჩანაწერები. ამ ჩანაწერების გამოყენებით ექვსივე რიგრიგობით მოახსენებს დანარჩენებს თავისი ჩანიშნულიდან არსებითს. შემდეგ თითოეული ჯგუფი აჯამებს დამკვირვებლების ჩანაწერებს და აკეთებს პრეზენტაციას. მასწავლებელი ისმენს პრეზენტაციებს. 5. ბოლოს ხდება მიღებული ინფორმაციის შეჯამება და შეფასება“.

- ჯიგსოუს ტექნიკა ;

„ჯიგსოუს ტექნიკა ხუთი ფაზისაგან შედგება:

პირველი ფაზა: შესავალი

ამ ფაზაში მასწავლებელი მოკლედ მიმოიხილავს განსახილველ თემას და მოსწავლეებს გააცნობს ჯიგსოუს ტექნიკას. შემდეგ იქმნება ძირითადი ჯგუფები. თითოეულში შედის არა უმეტეს ექვსი მოსწავლისა.

მეორე ფაზა: ცალკეული თემების/თემის ნაწილების დამუშავება ძირითადი/ჯიგსოუს ჯგუფების შიგნით მასწავლებელი დასამუშავებელ თემას წინასწარ ყოფს იმდენ ნაწილად,

რამდენი წევრიც არის თითოეულ ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფში.

მესამე ფაზა: თემის ნაწილების გაღრმავება ექსპერტთა ჯგუფებში მას შემდეგ, რაც თითოეული მოსწავლე ინდივიდუალურად დაამუშავებს

თემის შესაბამის ნაწილს, დგება ექსპერტთა ჯგუფები. მოსწავლეები, რომელთაც

დაამუშავეს ერთი და იგივე ნაწილი, ქმნიან ექსპერტთა ჯგუფებს დამუშავებული საკითხების გასაღრმავებლად და გაურკვეველი საკითხების გასარკვევად.

მეოთხე ფაზა: თემის ნაწილთა გადაცემა ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფებში მეოთხე ფაზაში მოსწავლეები უბრუნდებიან თავიანთ ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფებს, რათა ჯგუფის დანარჩენ წევრებს გადასცენ თემის მათ მიერ

დამუშავებულ ნაწილს ცალკეულ ნაწილთა ერთმანეთისთვის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები ამ ნაწილებს აერთიანებენ და დასამუშავებელ თემას ერთ მთლიანობად მოიაზრებენ.

მეხუთე ფაზა: თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ცოდნის შემოწმება და შეფასება

დასკვნით, მეხუთე ფაზაში მოწმდება, რამდენად აითვისა თითოეულმა მოსწავლემ თემა“.

- სეგმენტური მეთოდი;

„მეთოდის მიმდინარეობა: კლასი იყოფა ოთხ, ხუთ ან ექვსკაციან ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ურიგდება მუშაობისთვის საჭირო რესურსები – A3 ან უფრო დიდი ზომის ფორმატი და მარკერები.ფორმატი იყოფა სეგმენტებად – ერთ ცენტრალურ და რამდენიმე გარე სეგმენტად (გარე სეგმენტების რაოდენობა ჯგუფის წევრთა რაოდენობაზეა დამოკიდებული. თუ ჯგუფი ოთხი წევრისგან შედგება, გარე სეგმენტიც ოთხია და ა.შ.).

იხ. ქვემოთ მოცემული გრაფიკული გამოსახულება:



თითოეული გარე სეგმენტი ჯგუფის თითო წევრს ეკუთვნის, ხოლო ცენტრალური–მთელ ჯგუფს. ჯგუფის ყოველი წევრი იღებს მასწავლებლისგან დავალებას (ერთსა და იმავეს ან სხვადასხვას). მოსწავლეები საკუთარ იდეებს მათთვის განკუთვნილ სეგმენტში აღწერენ და ხელის მოწერით ადასტურებენ. ამ ეტაპზე მეთოდი მოითხოვს სრულ მდუმარებას, ერთმანეთთან კომუნიკაცია იკრძალება. მას შემდეგ, რაც ჯგუფის თითოეული წევრი შეავსებს საკუთარ სეგმენტს,მოსწავლეები ეცნობიან ერთმანეთის ნააზრევს და თუ საჭიროდ მიიჩნიეს ,ურთავენ წერილობით კომენტარებს.მომდევნო საფეხურზე იმართება დისკუსია,

ერთიანდება ყველა წევრის ნამუშევარი, გამოიყოფა ყველასათვის მისაღები იდეები, იბადება ახალიც. საბოლოოდ ყველა იდეა ჯამდება და ფიქსირდება ცენტრალურ სეგმენტში, სადაც ჯგუფის ყველა წევრი აწერს ხელს.უკანასკნელ ეტაპზე თითოეული ჯგუფი წარმოადგენს თავის შესრულებულ სამუშაოს“.

მოსწავლეზე ორიენტირებულმა განათლებამ ძლიერი ბიძგი მისცა თანამშრომლობითი პედაგოგიკის განვითარებას და დანერგვას სასწავლო პროცესში და პროცესის ორგანიზაციის ფორმებს შორის კი აღსანიშნავია ურთიერთობის განსაკუთრებული ფორმა – თანამშრომლობა სასწავლო პროცესში ანუ **ჯგუფებში მუშაობა.** თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობითი სწავლის ამ ფორმას მოსწავლეთა პიროვნული, შემეცნებითი და სოციალური განვითარებისთვის და თანამშრომლობითი სწავლის დანერგვას სასწავლო ქმედებების ფორმირებაში, გადმოცემულია სტატიაში „ჯგუფური მუშაობის როლი სასწავლო ქმედებების ფორმირებაში“, (3 აპრილი, 2015 მაია ფირჩხაძე, www. Mastsavlebeli. Ge ინტერნეტგაზეთი), სადაც ვკითხულობთ, „ჯგუფებში ყველა შესაძლებლობაა პიროვნული, შემეცნებითი და სოციალური განვითარებისთვის. მოზარდის მიერ აქ შეძენილი ინტელექტუალური, სოციალური და პიროვნული გამოცდილება მიმართულია როგორც საკუთარი თავისკენ, ასევე შემდეგში – დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ, ამიტომ ჯგუფში მუშაობის გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია“. „სწორედ ჯგუფში, თანაბარ პირობებში მყოფი მოსწავლეების გარმოცვაში გამოიკვეთება სასწავლო-თანამშრომლობითი ღონისძიებების პერსპექტივები“ და აქვე ნათქვამია, რომ ჯგუფში მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა

- პიროვნული განვითარებისთვის;
- თანამშრომლობითი თვისებების ჩამოყალიბება-განვითარებისთვის;
- შემეცნებითი უნარების გაუმჯობესებისთვის;
- კომუნიკაციური უნარების განვითარებისთვის.

ნათია ვაჩეიშვილის ნაშრომში **„თანამშრომლობა სასწავლო პროცესში, როგორც დემოკრატიული ცნობიერების** (ურთიერთდამოკიდებულება, პასუხისმგებლობა და თვითშეფასება) ამაღლების ერთ-ერთი საშუალება“, ვკითხულობთ: „განათლების ზოგიერთი თეორიტიკოსის (ჯ. დიუი, მ. გრინი, რ. დრეიკურსი, ჯ. ბენქსი) მოსაზრებით, დემოკრატიული განათლება ორ ძირითად

პრინციპს ეყრდნობა: 1) თანასწორობის პრინციპი (გამოიხატება პატივისცემაში, თანასწორობაში, ღირსებაში). 2) ურთიერთთანამშრომლობის პრინციპი (არჩევანის თავისუფლება, აქტიური ჩართულობა პრაქტიკულ საგაკვეთილო პროცესში, რომელიც თანამშრომლობით სწავლებას ეფუძნება). (Dewey, 1950; Dreikurs&Grey1968/1993; Glasser, 2004; Banks,2010).

კიდევ ერთი ძალიან საინტერესო სტატია **„რატომ არის მნიშვნელოვანი გუნდური მუშაობა მოსწავლეთა განვითარებისათვის?“** (6 დეკემბერი, 2013, დავით ბოლქვაძე საიტისათვის: mastsavlebeli.ge). სადაც გამოთქმულია „მოსაზრება, რომ მოსწავლეები სულ უფრო ნაკლებად ურთიერთობენ ერთმანეთთან პირდაპირი, უშუალო კომუნიკაციის გზით. ამის გამო მათ ეკარგებათ უშუალო ურთიერთობის აუცილებელი უნარები. ვფიქრობთ, კარგი იქნება, ამ უნარების დაუფლება სასწავლო პროცესში, უშუალოდ გაკვეთილზეც, მოხდეს. ონლაინ კომუნიკაციის არნახული ზრდის მიუხედავად, პირდაპირი კომუნიკაცია არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობას. ადამიანები, რომლებიც დაუფლებული იქნებიან უშუალო ურთიერთობის საჭირო უნარებს, მეტ წარმატებას მიაღწევენ, ვიდრე ამ უნარებს მოკლებულები.“ აქვე ჩამოთვლილია ის უნარები, რომლებსაც თანამშრომლობითი სწავლის ეს ფორმა უვითარებს მოსწავლეებს: მოსმენა, საუბარი, თავდაჯერება. „ჯგუფური მუშაობა მხოლოდ ზემოთ განხილული უნარების განვითარებას როდი უწყობს ხელს – რასაკვირველია, კიდევ ბევრის ჩამოთვალა შეიძლება: ურთიერთპატივისცემა, ლიდერობის გრძნობა, როლების განაწილება, პასუხისმგებლობა და სხვ. თუმცა მიგვაჩნია, რომ მოსმენა, საუბარი და თავდაჯერება წარმოადგენს იმ ფუნდამენტურ უნარებს, რომელთა განვითარებაც ჯგუფური მუშაობით არის შესაძლებელი“.

სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია მოსწავლეთა პასუხისმგელობა საკუთარ ქცევაზე, როგორიცაა, მაგალითად: თვითკონტროლი, სოციალური უნარები, დისციპლინის მართვა, თვითშეფასება, თვითრეგულაცია და ა. შ. და მასწავლებლის ვალდებულებაა, გააცნობიეროს თავისი მოვალეობა, რათა დაეხმაროს მოსწავლეებს შეძლონ საკუთარ ქცევაზე კონტროლი. წიგნში - **„კლასის მართვა“ კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები მასწავლებლებისათვის** (რობერტ ჯ. მარზანო, იანა ს. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი) მოსწავლის პასუხისმგებლობა კლასის მართვაზე, (გვ 94) წარმოდგენილია ჩატარებული კვლევები „იმ სტრატეგიების შესასწავლად, რომლებიც მოსწავლეებში პიროვნული პასუხისმგებლობის განვითარებას ეხება. დადებითს შედეგებზე გადის ის სტრატეგიები, რომლებიც აუმჯობესებენ

მოსწავლეთა კომპეტენციებს კონკრეტულ აკადემიურ დარგში (სტივენსი, ბლექჰურსტი და სლეთონი, 1991), ზრდიან მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში (ნარაიანი, , ჰიუარდი, გარდნერი, ქოურსონი და ომნესი, 1990)“. აქვე ნათქვამია, რომ ჩატარებული კვლევები, რომლებიც მოსწავლეთა სოციალური უნარების გაუმჯობესებას და გამომუშავებას შეეხება. „სოციალური უნარების გამომუშავება, გულისხმობს მოსწავლეებისათვის იმის სწავლებას, თუ როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეთ მათ თანატოლების ქცევაზე (ქართლეჯი და მილბურნი,1978; მედოუსი, ნილი, ფარქერი და თიმო, 1991)“. კვლევებიდან გამოტანილია დასკვნები, რომ მოსწავლეთა სოციალური უნარები და მათი აკადემიური მოსწრება ურთიერთკავშირშია. (რობისონი, 1985, ბრიქმანი, 1995, დაუერთი, 1989, ფარინგერი, 1996, ქაუფმანი,1995, ბიშოფი, 1989).

„პედაგოგიური გზამკვლევი“ - პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი 2016, თავი 2. სასწავლო გარემო - 2.2. ინტერაქტიური საკლასო გარემო) აღწერილია უსაფრთხო, კეთილგანწყობილი და ორგანიზებული სასწავლო გარემოს ფორმირებაზე, სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად რა დიდი როლი და მნიშვნელობა ეკისრება სოციალური ფაქტორს და მის გავლენას, კერძოდ, საუბარია ინტერაქტიური გარემოს განუყოფელი ნაწილის - ჯგუფური მუშაობის შესახებ აღწერილია ჯგუფური მუშაობის წარმართვის პრინციპები, წესები, ეტაპები, ძირითად თავისებურებებზე და სწავლების პროცესში მისი გამოყენების მნიშვნელობაზე. აქვე ნათქვამია, რომ „ჯგუფური მუშაობა გამოიყენება სწავლების ყველა საფეხურზე. კვლევები აჩვენებს, რომ სტუდენტები უფრო ადვილად სწავლობენ და უფრო კმაყოფილები არიან სწავლის პროცესით, როდესაც ჩართულები არიან ჯგუფური მუშაობის პროცესში, ვიდრე ინდივიდუალურად მუშაობისას.“ ხაზგასასმელია ერთი დეტალიც, რომელიც აქვეა წარმოდგენილი: „სწავლების პროცესში ჯგუფური მეთოდები იმ შემთხვევაში გამოიყენება ..., როდესაც საჭიროა ჯგუფური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარების გამომუშავება...“. ეს ყურადსაღებია, რადგან ჯგუფური მუშაობის გამოყენება სასწავლო პროცესში თანამშრომლობითი სწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია.

ჯგუფური მუშაობის როლი და მნიშვნელობა მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი უნარების განვითარებისათვის, გადმოცემულია გამოცდების ეროვნული ცენტრის, კვლევის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ წიგნში (დამხმარე სახელმძღვანელო) **„ეფექტიანი სწავლება**

- თეორია და პრაქტიკა“. (თავი V, ჯგუფური მუშაობა , გვ 75-84). კერძოდ, „ჯგუფური მუშაობა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ის ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობას და სოციალიზაციის უნარის განვითარებას. ჯგუფური მუშაობისას მოსწავლეებს უფრო რთული დავალების გადაჭრა შეუძლიათ, რადგან ჯგუფში არსებული ცოდნა და უნარები აღემატება იმ ცოდნას, რაც ცალკეულ მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს“. „ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის სოციალური, კომუნიკაციური და სხვა ინტერპერსონალური უნარების განვითარებას“.

ამავე წიგნში მოცემულია დ. პერკინსის ეფექტური სწავლების 7 პრინციპი:

1. გააცანით მოსწავლეებს სასწავლო პროცესის საბოლოო პროდუქტი;
2. აჩვენეთ მოსწავლეებს , თუ რა ღირებულება აქვს ამა თუ იმ საკითხის სწავლას;
3. საგანგებო ურადღება გაამახვილეთრთულ საკითხებზე:
4. დაეხმარეთ მოსწავლეებს ცოდნის გამოყენებაში;
5. გააცანით მოსწავლეებს თემის/საკითხის მიღმა არსებული ლოგიკა, პრინციპი;
6. განავითარეთ მოსწავლეებში თანატოლებისაგან სწავლის უნარი;
7. ასწავლეთ მოსწავლეებს სწავლა;

აღსანიშნავია რომ ამ პრინციპებს შორის 6-ში „განავითარეთ მოსწავლეებში თანატოლებისაგან სწავლის უნარი“. (გვ 34-35). წარმოდგენილია დ. პერკინსის აზრი, სოციალური სწავლის შესაძლებლობაში თანატოლებისაგან სწავლის შესახებ და აქვე მინიშნებულია მასწავლებლის განსაკუთრებული როლი ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის. ხოლო შეჯამების სახით (გვ. 38) ნათქვამია, რომ „მოსწავლეებს ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ თანატოლებისაგან, რაც ეფექტურად შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა საგაკვეთილო პროცესში (წყვილებში ან ჯგუფში მუშაობა, ერთობლივად პრეზენტაციების მომზადება და სხვ.)“ .

კეთილგანწყობილი, კომუნიკაციური უნარების განვითარების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი სტრატეგიაა საკლასო დისკუსია. მის გამოყენებას სასწავლო პროცესში დიდი როლი და მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა სოციალიზაციისათვის. დისკუსიის გამოყენება „ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მათი სოციალური და ინტერპერსონალური უნარების განვითარებას.“ ეს უნარები კი, კარგად მოგვეხსენება, რაოდენ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა თანამშრომლობით სწავლის ხელშესაწყობად.

თეო ნეფარიძე, სტატიაში - “თანამშრომლობითი სწავლა-სწავლება” (**www.Mastsavlebeli.ge,** 12 ივნისი, 2013) საუბრობს თანამშრომლობით სწავლის უპირატესობების შესახებ, მის გამორჩეულ ფუნქციაზე, მნიშვნელობასა და მის ეფექტიანად გამოყენებაზე სასწავლო პროცესში. აქვე მითითებულია, რომ „ვიგოტსკის თანახმად (1978), მოსწავლეები უფრო მაღალ ინტელექტუალურ დონეს ავლენენ კოლაბორაციულ გარემოში, ვიდრე დამოუკიდებლად სწავლისას“, ხოლო „ჯონსონის მიხედვით (1989), თანამშრომლობითი სწავლა კონკურენტულ და ინდივიდუალურ მეთოდებთან შედარებით ა) უფრო მაღალ პროდუქტიულობას და მიღწევებს უზრუნველყოფს; ბ) უფრო მზრუნველობითია და ხელშემწყობი; გ) აძლიერებს ფსიქოლოგიურ და სოციალურ კომპეტენციებს და თვითშეფასების უნარს .“

თანამშრომლობითი სწავლის მეთოდიკა გამოიყენება წყვილებში, სამეულებსა და მცირე ჯგუფებში (4-5 მოსწავლე).

განხილულია თანამშრომლობითი სწავლის მოდელები: ჯონსონის და კაგანის მოდელები. წარმოდგენილია თითეული მოდელის ძირითადი საფუძვლები:

- ✓ “ჯონსონის თანამშრომლობითი სწავლის მოდელის ძირითადი საფუძვლებია: ინდივიდუალური ანგარიშვალდებულება, პირდაპირი/ცოცხალი ინტერაქცია, სოციალური უნარ-ჩვევები, ჯგუფური ანალიზი და პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება (Johnson and Johnson, 1993). ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და ცოცხალი ინტერაქცია უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართვას პროცესში და სასწავლო შედეგების მიღწევას”.
- ✓ “კაგანის მოდელის ხერხემალია თანამშრომლობითი მუშაობის ტექნიკა (სტრუქტურები), რომელიც განსაზღვრავს პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტის მოქმედებას. … კაგანის სტრუქტურულ სქემაში ინტეგრირებულია მოსწავლეთა თანაბარი მონაწილეობის განმაპირობებელი წესები და ინსტრუქციები, …კაგანი კატეგორიულად ეწინააღმდეგება გუნდის ერთიან შეფასებას, რადგან თვლის, რომ გუნდისათვის საერთო ქულის დაწერა მოსწავლის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას უგულებელყოფს, ზოგიერთ მოსწავლეს უსამართლობის განცდას უჩენს, ამცირებს მოტივაციას და ა.შ. აღწერილია, აგრეთვე, თანამშრომლობითი სწავლის პროცესი და წარმოდგენილია თანამშრომლობითი სწავლების რამდენიმე სტრუქტურული მოდელი: ერთობლივი/ჯგუფური სწავლა, ჯგუფური მატრიცა, წყვილში განხილვა, ურთიერთსწავლება.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის ჯგუფის მომზადებულ ანგარიშში **(სახელმწიფო შეფასება, მათემატიკა - IX კლასი)**, (გვ. 180) წარმოდგენილია მოსწავლეთა დაჯგუფებისას შერეული ჯგუფის გამოყენების უპირატესობა სასწავლო პროცესში, ვიდრე შესაძლებლობების მიხედვით დაჯგუფება. ვკითხულობთ, „მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ შესაძლებლობების მიხედვით მოსწავლეების დაჯგუფება ზიანს აყენებს დაბალი და საშუალო მოღწევის მქონე მოსწავლეების მოსწრებას და არ აუმჯობესებს მაღალი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებს. (Slavin, 1990, Hallam & Toutounji, 1996) საპირისპიროდ, ჰეტეროგენული და შერეული ჯგუფების გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სწავლის შედეგებს და ზრდის აკადემიურ პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის მაჩვენებელს. (Boaler, 2013; Burriset.al., 2006; Nunes et.al. , 2009, Alexander, 2010)“.

წიგნში „სტატიები განათლების საკითხებზე“, (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი 2010; გვ 142-143). ხაზგასმულია სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის უპირატესობის შესახებ, ვიდრე გაკვეთილზე გამოყენებული დამოუკიდებელი ან კონკურენციის პრინციპზე აგებული მუშაობა. ყურადღება გამახვილებულია იმ კვლევის შედეგებზე, რომლებშიც თანატოლთა როლის მნიშვნელობაზეა საუბარი. კერძოდ, კვლევა ჩატარდა საშუალო კლასის მოსწავლეებთან, „მოსწავლეებს წინააღმდეგობრივი საკითხის ანალიზი დაევალათ. აღმოჩნდა, რომ თანამშრომლობით პრინციპებზე აგებულ ჯგუფში ნებაყოფილობით გადაწყვიტეს მეტი მასალის მოძებნა მოცემულ საკითხზე, განსხვავებით დამოუკიდებლად მომუშავე მოსწავლეების ან კონკურენციის პრინციპებზე აგებულ ჯგუფისაგან. აღსანიშნავია, რომ თანამშრომლობის პრინციპზე აგებულმა ჯგუფმა წერით დავალებაში მათი საპირისპირო აზრის დამადასტურებელი არგუმენტებიც მეტი მოიყვანა (ჯონსონი და ჯონსონი, 1995). კვლევებმა დაადასტურა, თუ რა დიდი გავლენა აქვს მოსწავლეთა მოტივაციაზე სხვადასხვა ფაქტორთან ერთად კლასში არსებულ სოციალურ გარემოს.

თავი III მონაცემთა შეგროვების ხერხები

3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი

1. სკოლის მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეები;
2. სკოლის მასწავლებლები.

3.2. კვლევაში გამოყენებული შერჩევის სტრატეგია

კვლევაში გამოვიყენე არაალბათური შერჩევის ორი ტიპი:

- სრული შერჩევა - სამიზნე ჯგუფი მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეები;
- მიზნობრივი შერჩევა - სამიზნე ჯგუფი მე-9 და მე-10 კლასის მასწავლებლები, დაწყებითი კლასის მასწავლებლები;

სრული შერჩევა - რადგან ძირითადად ეს სტრატეგია გამოიყენება სამოქმედო კვლევებში, თანაც ვიკვლევდი მოსწავლეთა ორ ჯგუფს - მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებს. სულ 10 მოსწავლე. გენერალური ერთობლიობა არ არის დიდი. შერჩევის ერთობლიობა ემთხვევა გენერალური ერთობლიობას. ამავე დროს მოსწავლეებს პირდაპირი კავშირი აქვს შესასწავლ საკითხთან. პრობლემა თანამშრომლობითი სწავლასთან დაკავშირებით ამ კლასებში მკვეთრად გამოიკვეთა.

მიზნობრივი შერჩევა - უმეტესწილად გამოიყენება თვისობრივი კვლევის დროს და შესაბამისად, ხშირად შევხვდებით შერჩევის ამ სტრატეგიას. მიზნობრივი შერჩევის დროს ვარჩევ იმ პირებს , რომლებსაც უშუალო და პირდაპირი კავშირი აქვთ საკვლევ საკითხთან თუ პრობლემასთან. შეირჩა ის პედაგოგები, რომლებიც უშულოდ ასწავლიან სამიზნე ჯგუფს , ანუ მე-9 და მე-10 კლასის მასწავლებლები ანუ ამ მასწავლებლებს კომპეტენტური ინფორმაციის მოწოდება შეუძლიათ, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა კვლევის ძირითადი საკითხის მიმართებაში მათი დამოკიდებულებები, ღირებულებები და მოსაზრებები, რომლებიც ძალზე მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია კვლევის მომდევნო ეტაპებზე და შემდგომი აქტივობების დაგეგმვაზე, ასევე იმ ცვლილებების განხორციელებაზე, რაც კვლევის შედეგად უნდა დაინერგოს.

3.3. კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის პროცესში გადავწყვიტე გამომეყენებინა როგორც თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტები, ასევე რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები.

3.3.1. თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის პროცესში გამოვიყენე შემდეგი თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტები:

- ჯგუფური ინტერვიუ მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებთან;
- ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან;

ფოკუსჯგუფი მოსწავლეებთან. ფოკუსჯგუფის წევრები იყვნენ მე-9 და მე-10 კლასის ყველა მოსწავლე, რადგან მათი რაოდენობა მცირეა. შერჩევის საფუძველი იყო მათი შეხედულებები თანამშრომლობით სწავლებასთან დაკავშირებით, რა დონეზე აქვთ გამომუშავებული თანამშრომლობითი სწავლის უნარების გამოყენება სწავლის პროცესში. როგორი დამოკიდებულებანი აქვთ აღნიშნულ უნარების გამოყენებასთან დაკავშირებით სასწავლო პროცესში. გააზრებული აქვთ თუ არა მნიშვნელოვანი როლი ამ მეთოდით სწავლის უპირატესობაზე. თანაც შესაძლებელი იყო მოსწავლეების მხრიდან წამოჭრილიყო ისეთი საინტერესო საკითხები, რომელზედაც შესაძლებელია არ მეფიქრა. მოსწავლეებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ჩემს მიერ შემუშავდა კითხვარი, რომელიც გამოყენებულ იქნა ერთობლივი საკვლევი პრობლემის შესასწავლად, ანკეტირებისათვის მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებთან. კითხვარის შედგენისას ყურადღება მივაქციე მის დიზაინს. შევეცადე, რომ ის ყოფილიყო მარტივი, ადვილად გასაგები და საინტერესო მოსწავლეებისათვის, ადვილად აღსაქმელი. კითხვარის შედგენისას გამოვიყენე დახურული კითხვები ე. წ. დიქოტომიური კითხვები („დიახ/არა“ ტიპის), ასევე კითხვები მრავალი არჩევითი პასუხებით, რომელსაც ახლავს რამდენიმე სავარაუდო პასუხი. მოსწავლეებს შეეძლოთ აერჩიათ მხოლოდ ერთი პასუხი ან რამოდენიმე. კითხვარი რომ ყოფილიყო სანდო, ვალიდური, გამორიცხულიყო კითხვის ფორმულირებისას ორაზროვნება და გაუგებრობა, გაგვერკვია სავარაუდო დრო რაც საჭირო იქნებოდა ანკეტირების ჩატარებისათვის და ა. შ. მოვახდინე კითხვარის პილოტირება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით და შედეგად კითხვარმა მიიღო საბოლოო სახე. კითხვარი შედგებოდა 20 კითხვისაგან და ფოკუსჯგუფის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 30 წთ.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან; თვისობრივი კვლევის გამოყენებამ, კონკრეტულად, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მე-9 და მე-10 კლასის მასწავლებლებთან, სულ 10 მასწავლებელი, სულ საშუალება მოგვცა მომეპოვებინა ინფორმაცია კონკრეტული ჯგუფის, მასწავლებლების, კვლევის ძირითადი საკითხის მიმართებაში მათი

დამოკიდებულებების, ღირებულებების და მოსაზრებების შესახებ. მასწავლებლებთან ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს ჩატარების მიზნით შევიმუშავე კითხვები, სადისკუსიოდ. ჩემი მიზანი იყო საკვლევ კითხვასთან დაკავშირებით მიმეღო მასწავლებლებისაგან მნიშვნელოვანი და მაქსიმალური ინფორმაცია. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ წარიმართა წინასწარ მომზადებული და ინტერვიუს დროს წარმოშობილი ღია კითხვებზე დაყრდნობით და ინტერვიუს პროცესი მიმდინარეობდა 45 წთ-ის განმავლობაში.

3.3.2. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა შემდეგი რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი:

- ანკეტირება მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებთან.

რაოდენობრივი კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენე ანკეტირება მე-9 და მე-10 კლასის ყველა მოსწავლეებთან. გამოვიყენე წინასწარ მომზადებული კითხვები. კითხვარი შედგებოდა 20 კითხვისაგან და ანკეტირების ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 30 წთ. კითხვარის შედგენისას გამოვიყენე დახურული კითხვები ე. წ. დიქოტომიური კითხვები („დიახ/არა“ ტიპის), ასევე კითხვები მრავალი არჩევითი პასუხებით, რომელსაც ახლავს რამდენიმე სავარაუდო პასუხი. მოსწავლეებს შეეძლოთ აერჩიათ მხოლოდ ერთი პასუხი ან რამოდენიმე. კითხვარს დაურთეთ თანმხლები წერილი, რომლის მიზანი იყო, რომ გაგვეცნო მოსწავლეებისათვის კვლევის არსი და მნიშვნელობა, დაგვერწმუნებინა, რომ დაცული იქნებოდა მათი კონფიდენციალობა, რა დროის განმავლობაში უნდა ჩატარებულიყო ანკეტირება და რა თქმა წინასწარ უხდიდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

კითხვარი შემუშავებულია მოსწავლეებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფის შედეგებზე დაყრდნობით. კითხვარის მიზანია აღმომეჩინა რამდენად აქვთ განვითარებული მოსწავლეებს პიროვნული მახასიათებლები ემპათია, კომუნიკაციის უნარი, სამართლიანობა, სხვისი პატივისცემა, კეთილგანწყობა, სხვათა დახმარება და ა. შ. ამავე დროს სოციალური და ემოციური უნარ-ჩვევები გამომუშავებული, რამდენად ავლენს ამ თვისებებს, რადგან ასეთი უნარების შესაძლებლობა მოსწავლეებში განსაკუთრებულს როლს თამაშობს თანამშრომლობითი სწავლისას საგაკვეთილო პროცესში სოციალური და თანამშრომლობითი ურთიერთობისათვის. აგრეთვე, საინტერესო იყო, რამდენად იცნობდნენ მოსწავლეები

თანამშრომლობითი სწავლის არსს, მეთოდებს და თუ იყენებენ ისინი ამ მეთოდებს გაკვეთილზე.

თავი IV. კვლევის შედეგები

4.1 შეგროვებული ინფორმაციის რაოდენობრივი ანალიზი

წინამდებარე თავში წარმოგიდგენთ კვლევის პროცესში შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს. რადგან კვლევის პროცესში გამოვიყენე როგორც თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტები, ასევე რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები, ამიტომ შესაბამისად მოვახდინე მონაცემთა როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი ანალიზი.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის შემდეგი ინსტრუმენტი:

- ანკეტირება მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებთან - სულ 10 მოსწავლე.

კითხვარი შედგებოდა 20 კითხვისაგან. კითხვარის მიზანს შეადგენდა აღმომეჩინა რამდენად აქვთ განვითარებული მოსწავლეებს პიროვნული მახასიათებლები ემპათია, კომუნიკაციის უნარი, სამართლიანობა, სხვისი პატივისცემა, კეთილგანწყობა, სხვათა დახმარება. აგრეთვე, საინტერესო იყო, რამდენად იცნობდნენ მოსწავლეები თანამშრომლობითი სწავლის არსს, მეთოდებს და თუ იყენებენ ისინი ამ მეთოდებს გაკვეთილზე.

ანკეტირების მონაცემები წარმოდგენილია შემდეგი ***ცხრილი N1*** სახით:

ცხრილი N1

	K1	K2	K3	K4	K5	K6	K7	K8	K9	K10	K11	K12	K13	K14	K15	K16	K17	K18	K19	K20
რესპ1	1	1	1	2	2	1	2	2	1	3	1	4	2	2	1	2	2	2	2	2
რესპ2	2	2	1	2	1	1	2	3	2	3	2	1	1	1	2	1	2	2	2	1
რესპ3	2	2	1	2	1	2	1	1	2	2	3	2	4	1	3	1	1	1	2	1
რესპ4	2	3	2	1	2	2	3	2	2	1	2	3	4	2	3	1	1	2	2	2
რესპ5	1	2	2	1	2	3	3	1	2	2	1	3	4	2	2	4	2	2	1	2
რესპ6	2	2	3	1	2	3	2	2	3	3	2	3	3	2	2	3	2	1	1	2
რესპ7	1	2	3	1	2	3	2	2	4	3	2	3	3	2	3	4	2	2	2	2
რესპ8	1	3	1	1	1	3	3	3	1	3	2	1	3	2	3	4	2	2	1	2
რესპ9	1	1	1	2	2	2	2	3	4	1	3	1	2	1	3	4	1	2	2	2
რესპ10	1	2	1	1	2	3	2	2	1	1	3	4	1	2	4	2	2	1	1	2

ცხრილი N2

ცხრილი N2-ში წარმოდგენილია თითოეულ შეკითხვაზე გაცემული პასუხების რაოდენობა:

	K1	K2	K3	K4	K5	K6	K7	K8	K9	K10	K11	K12	K13	K14	K15	K16	K17	K18	K19	K20
1	6	2	6	6	3	2	1	2	3	3	2	3	2	3	1	3	3	3	4	2
2	4	6	2	4	7	3	6	5	4	2	5	1	2	7	3	2	7	7	6	8
3		2	2	0	0	5	3	3	1	5	3	4	3		5	1				
4									2			2	3		1	4				

მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა:

გამოკითხულთა შორის **გოგონაა მთელი** რაოდენობის **60%**, ხოლო ბიჭების - **40%**



კითხვა 1.შეგიძლია თანატოლებთან ახლო ურთიერთობების დამყარება, რათა ჰარმონიულად იმოქმედონ ერთობლივად? მონაცემები ასე გადანაწილდა:



კითხვა 2. შეგწევს უნარი გულდასმით მოუსმინო შენს თანატოლს, გამოხატო მათი შეხედულებებისადმი პატივისცემა, თუნდაც ისინი არ ემთხვეოდეს შენსას?

შედეგები შემდეგია:



კითხვა 3. შეგიძლია აღიარო შენს თანატოლებში ღირსებები და მათი ძლიერ მხარეები? გამოკითხულთა შედეგი ასეთია:



კითხვა 4. რამდენად შეგწევს უნარი დაეხმარო თანატოლს და იზრუნო მასზე? მოსწავლეთა აზრით:



კითხვა 5. შეგწევს უნარი შექმნილი კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვისა მშვიდობიანი გზით?

ყოველთვის შემიძლია - დააფიქსირა **30% მოსწავლემ;** სურვილი მაქვს, მაგრამ შიში მიპყრობს - **70% მოსწავლემ;** არ მაქვს ასეთი სურვილი **- 0% მოსწავლემ.**



კითხვა 6. შეგიძლია თუ არა საკუთარი ემოციების მართვა? ა) ყოველთვის შემიძლია - აღნიშნა **20% მოსწავლემ;** ბ) ზოგჯერ შემიძლია **30% მოსწავლემ;** გ) მიჭირს ემოციების მართვა - **50% მოსწავლემ.**



კითხვა 7. გაქვს თუ არა საკუთარი თავის რწმენა? შედეგები ასე განაწილდა:



კითხვა 8. ხართ თვითკრიტიკული?



კითხვა 9. გსურს იყო სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილე? ყოველთვის მსურს - ***30%;*** ზოგჯერ , დამოკიდებულია ჩემს განწყობაზე - ***10%;*** დამოკიდებულია მასწავლებელზე - ***40%;*** არასოდეს არ მაქვს სურვილი სასწავლო პროცესში ჩართვის - ***20% ;***



კითხვა 10. ხარ თუ არა ტაქტიანი? დიახ - პასუხობს 30%; არა - 20%; ზოგჯერ - 50%;



კითხვა 11. მეტ დროს მარტო ატარებ თუ თანატოლებთან ერთად?

ყოველთვის თანატოლებთან არის 10%; დამოკიდებულია სიტუაციაზე - აღნიშნავს 50%; მირჩევნია მარტო ყოფნა ურჩევნია - 40%.



კითხვა 12. ვისთან გსურთ უმეტესად ურთიერთობა? გოგონებთან **სურს 30%;** ბიჭებთან **10%-ს;** ორივესთან - **40%-ს;** არავისთან **20%**



კითხვა 13. თანატოლის აკადემიური მოსწრების თვალსაზრისით ვის ანიჭებ უპირატესობას ურთიერთობისათვის?

ჩემთვის მნიშვნელოვანია წარმატებულ თანატოლთან ურთიერთობა აღნიშნავს 20%, ჩემთვის მნიშვნელოვანია დაბალი აკადემიური მოსწრების თანატოლთან ურთიერთობა საკუთარი უპირატესობის წარმოჩენის მიზნით - 20%, ჩემთვის მნიშვნელოვანია დაბალი აკადემიური მოსწრების თანატოლთან ურთიერთობა მისთვის დახმარების მიზნით 30%, ურთიერთობისათვის არ ვანიჭებ მნიშვნელობას მის აკადემიურ მოსწრებას აღნიშნავს - 30%.

კითხვა 14. იცი, რას ნიშნავს თანამშრომლობითი სწავლა? მოსწავლეთა **30%** -ისათვის **დიახ, 70%**-ისათვის **არა**.



კითხვა 15. სწავლების რომელ ფორმას მიანიჭებ უპირატესობას, მონაცემები ასე გადანაწილდა:



კითხვა 16. სწავლების რომელი ფორმა გამოიყენება გაკვეთილების პროცესში უფრო ხშირად?



კითხვა 17. იცნობთ თუ არა თანამშრომლობითი სწავლების მეთოდს - „ინტერვიუ 3 ნაბიჯი“ ? და ***კითხვა 18***. იცნობთ თუ არა თანამშრომლობითი სწავლების მეთოდს - ჯიგსოუს ტექნიკა“ ? პასუხები იდენტური აღმოჩნდა და შემდეგნაირად განაწილდა:



კითხვა 19 . იცნობთ თუ არა თანამშრომლობითი სწავლების მეთოდს -„სეგმენტური მეთოდი“ ?

დიახ -40% დააფიქსირა და არა **- 60%-მა;**



კითხვა 20. იცნობთ თუ არა თანამშრომლობითი სწავლების მეთოდს -„აზროვნების 6 ქუდი“ ?

დიახ -20% დააფიქსირა და არა - 80%-მა;



4.2. შეგროვებული ინფორმაციის თვისობრივი ანალიზი

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა შემდეგი თვისობრივი ინსტრუმენტები:

- ფოკუსჯგუფი მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებთან;
- ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან;

სამოქმედო კვლევის პროცესში რადგან გამოყენებული მქონდა თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტები: • ჯგუფური ინტერვიუ მოსწავლეებთან და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან, ამიტომ შესაბამისად, ჩავატარე მონაცემთა თვისობრივი ანალიზი, რომელიც ეფუძნება კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

- **ჯგუფური ინტერვიუ მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებთან;**

პრაქტიკული კვლევის ძირითადი საკვლევი კითხვის: **„როგორ უზრუნველვყოთ საგაკვეთილო პროცესში მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარება“,** შესახებ მოსწავლეთა ინტერესის და აზრის გარკვევისათვის განხორციელდა ჯგუფური ინტერვიუ მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებთან. სულ 10 მოსწავლე. გენერალური ერთობლიობა არ არის დიდი, ამიტომ შერჩევის ერთობლიობა ემთხვევა გენერალური ერთობლიობას. ფოკუს ჯგუფის მთავარი მიზანი იყო დაგვედგინა თუ როგორ განმარტავდნენ მოსწავლეები, მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლას, მათი დამოკიდებულებანი და მოსაზრებანი საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარების შესახებ, მომესმინა მათი აზრი და შეხედულებები მოსწავლეებში ამ უნარის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების შესახებ, აგრეთვე იმ პრობლემების შესახებ რაც უშუალოდ უკავშირდებოდა აღნიშნულ საკითხს და ყურადსაღები იყო საგაკვეთილო პროცესში. ვთვლიდი, რომ ფოკუსჯგუფის შედეგები დამეხმარებოდა კითხვარის შედგენაში მოსწავლეთა ანკეტირებისათვის. შევიმუშავე შემდეგი სადისკუსიო კითხვები:

- ❖ როგორ გაქვთ გააზრებული თუ რას ნიშნავს მოსწავლეებს შორის თანამშრომლობით სწავლა.
- ❖ როგორი მნიშვნელობა აქვს გაკვეთილის პროცესში მოსწავლეებს შორის თანამშრომლობით სწავლას.

- რა პიროვნული მახასიათებლები უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებს, რომ ადვილად შეძლონ გაკვეთილის პროცესში ერთმანეთს შორის სოციალური და თანამშრომლობითი ურთიერთობა.
- რამდენად იცნობთ თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს და თუ იყენებთ ამ მეთოდებს გაკვეთილზე.

მოსწავლეებს გავაცანით სადისკუსიო თემა და მიზანი. გაიმართა წრფელი და გულღია დისკუსია წინასწარ შემუშავებული კითხვარის შესაბამისად. ვაკეთებდით მოსწავლეთა პასუხების ჩანაწერებს. **კითხვაზე - „როგორ გაქვთ გააზრებული თუ რას ნიშნავს მოსწავლეებს შორის თანამშრომლობით სწავლა“ და „როგორი მნიშვნელობა აქვს გაკვეთილის პროცესში მოსწავლეებს შორის თანამშრომლობით სწავლას“,** მოსწავლეების პასუხებიდან გამომდინარე აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებს კარგად არ აქვთ გააზრებული თუ რას ნიშნავს მოსწავლეებს შორის თანამშრომლობით სწავლა და მით უფრო მისი მნიშვნელობა გაკვეთილის პროცესში. უჭირდათ ამ ტერმინის გაცნობიერება. მოსწავლეებს ძალიან აწუხებთ საგაკვეთილო პროცესში ერთმანეთთან ურთიერთქმედების არარსებობა. აღნიშნავდნენ, რომ გაკვეთილზე სასწავლო აქტივობებში გამოყენებულია უფრო მეტად დამოუკიდებელი და მთელ კლასთან მუშაობის ფორმა, ვიდრე თანამშრომლობითი სწავლის ფორმები. მათთვის პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე რომ თამამად ვერ გამოთქვამდნენ თავიანთ აზრებს გაკვეთილზე ამ თუ იმ საკითხის განხილვისას, მით უფრო ეს აზრი გაუზიარონ თანატოლს და დაამყარონ ერთმანეთთან ახლო ურთიერთობები, იმ მიზნით, რომ მოუსმინონ ერთმანეთს, შეაჯერონ აზრები, იმოქმედონ ერთობლივად და გამოიტანონ საერთო შეჯერებული დასკვნები;

კითხვაზე თუ „რა პიროვნული მახასიათებლები უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებს, რომ ადვილად შეძლონ გაკვეთილის პროცესში ერთმანეთს შორის სოციალური და თანამშრომლობითი ურთიერთობა“ მოსწავლეებმა დაასახელეს, რომ მათ უნდა შეეძლოთ ერთმანეთის დახმარება, ერთმანეთის თანაგრძნობა, პატივისცემა, თანამშრომლობა, გარკვეულ სიტუაციებში კომპრომისზე წასვლა, საკუთარი ემოციების კონტროლი, უნდა გააჩნდეთ ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობა, სამართლიანობა, ერთმანეთთან ურთიერთობის ნება, ურთიერთმოსმენის და მოლაპარაკების უნარი, ემპათია და თან დასძინეს, რომ ამ ჩვევებს ისინი უმეტესად შეიძენენ თანატოლებთან ურთიერთობისას.

საინტერესო იყო, რამდენად იცნობდნენ მოსწავლეები თანამშრომლობითი სწავლის არსს, მეთოდებს და თუ იყენებენ ისინი ამ მეთოდებს გაკვეთილზე, ამიტომ მათ ვთხოვეთ გაემართათ დისკუსია შემდეგი კითხვის ირგვლივ: **„რამდენად იცნობთ თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს და თუ იყენებთ ამ მეთოდებს გაკვეთილზე“** - მოსწავლეთა უმრავლესობისათვის ეს მეთოდები ნაკლებადაა ცნობილი. თუნდაც იმიტომ, რომ ნაკლებად იყენებენ მათ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში. მოსწავლეთა აზრით, მასწავლებლის როლი ძალზე დიდია, მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებაში და მით უფრო ისეთი მეთოდების გამოყენებაში და სასწავლო პროცესში მათ დანერგვაში, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობით სწავლას. მათი აზრით მასწავლებელმა უნდა გააცნოს მოსწავლეებს ის მეთოდები და სტრატეგიები. მასწავლებელმა უნდა შექმნას სწორედ გაკვეთილზე ისეთი გარემო, სადაც მოსწავლეებს ერთმანეთის მიმართ ექნებათ პოზიტიური დამოკიდებულება, ერთმანეთს გულდასმით მოუსმენენ, ექნებათ ერთმანეთის ნდობა და პატივისცემა, თავიანთ აზრებს ერთმანეთს გაუზიარებენ, იმსჯელებენ ერთობლივად და ერთობლივად შეაჯერებენ აზრებს. ამასთანავე მასწავლებელმა უნდა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა დისკუსიებში და ისეთ შემოქმედებით აქტივობებში ჩართვას, სადაც თვითგამოხატვისა და გუნდური მუშაობის საშუალება მიეცემათ.

მიღებული და დამუშავებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად შევიმუშავე კითხვარი, (სულ 20 კითხვა) რომლის მიხედვითაც ჩატარდა მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეთა ანკეტირება.

- **ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან;**

კვლევის პროცესში პრობლების უკეთ შესწავლის მიზნით გამოყენებულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან. მიზნობრივი შერჩევით შევარჩიე ის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან სამიზნე ჯგუფს, მე-9 და მე-10 კლასებს, სულ 10 მასწავლებელი და დაწყებითი კლასის მასწავლებლები, სულ - 4 მასწავლებელი, რამეთუ დაწყებით საფეხურზე საფუძველი ეყრება მოსწავლეთა თანამშრომლობითი სწავლის განვითარებას. ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო კვლევის ძირითადი საკითხის **„როგორ უზრუნველვყოთ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარება“,** მიმართებაში, მათი დამოკიდებულებები, ღირებულებები და მოსაზრებები, რომლებსაც გავითვალისწინებდით კვლევის მომდევნო

ეტაპებზე და შემდგომი აქტივობების დაგეგმვაზე, ასევე იმ ცვლილებების განხორციელებაზე, რაც კვლევის შედეგად უნდა დაინერგოს.

აგრეთვე, წინასწარ განვსაზღვრე და შევიმუშავე რამოდენიმე კითხვა, რომლის მიხედვითაც წარიმართა ინტერვიუ. ინტერვიუს პროცესისას მოლოდინი გვქონდა რომ შესაძლებელი ყოფილიყო შეცვლილიყო კითხვის თანმიმდევრობაც და გაჩენილიყო ახალი კითხვის დასმის საჭიროებაც.

ინტერვიუს მიზანი იყო მომეპოვებინა მნიშვნელოვანი ინფორმაცია სხვადასხვა მასწავლებლიდან საკვლევი საკითხის შესახებ, მათი აზრი, მოსაზრებები და დამოკიდებულებები საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებით. ინტერვიუს დროს ვაკეთებდი ჩანაწერებს.

კითხვაზე - **„რამდენად არის ცნობილი თქვენთვის თანამშრომლობითი სწავლის არსი და მნიშვნელობა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას“** ? ინტერვიუერთა პასუხები ძირითადად შემდეგს წარმოადგენდა: მასწავლებლებისათვის ძირითადად თითქოსდა თეორიულად ცნობილია, (მონაწილეობა აქვთ მიღებული სხვადასხვა სახის ტრენინგ-პროგრამებში), რომ თანამშრომლობითი სწავლა, ის რომ, თანამშრომლობითი სწავლა წარმოადგენს სწავლის ინოვაციურ ფორმას, რომელიც მიმართულია მოსწავლეებს შორის პარტნიორული და ჯგუფური მუშაობისკენ, რომელიც გამოყენებისას მოსწავლეები მოქმედებენ სინქრონულად და კოორდინირებულად, ისინი ცდილობენ წარმოქმნილი პრობლემა ერთობლივად გადაჭრან, მოიძიონ გადაჭრის რამოდენიმე ალტერნატიული გზა და აარჩიონ მათ შორის ოპტიმალური გზა და მიაღწიონ დასახულ მიზანს. მათთვის ისიც ნათელია თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მის გამოყენებას და დანერგვას გაკვეთილზე სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, არის კიდეც მცდელობა გამოიყენონ გაკვეთილზე მაგალითად, წყვილებში მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, მაგრამ ისინი მაინც გამოწვევისა და პრობლემის წინაშე დგანან გაკვეთილზე თანამშრომლობითი სწავლას გამოყენებასთან დაკავშირებით. მათი დიდი სურვილია სიღრმისეულად ჩაწვდნენ თანამშრომლობითი სწავლის გამოყენების პრინციპებს და მეთოდებს.

კითხვაზე - **„რამდენად იცნობთ სწავლების იმ თანამედროვე მეთოდებს/სტრატეგიებს, რომელთა გამოყენებითაც სასწავლო პროცესი არ იქნება მოსწავლეებისათვის მოსაწყენი და, ამავე**

დროს, მათ განუვითარდებათ თანამშრომლობითი უნარები“ ? ინტერვიუერთა მცირე ნაწილმა 14%-მა, დაასახელა, რომ იცნობს მაგალითად, ჯგუფურ მუშაობას, წყვილებში მუშაობას და სეგმენტურ მეთოდს, სხვა მეთოდები მათთვის უცნობია. რაც შეეხება ინტერვიუერთა დანარჩენი 86% -სათვის თანამშრომლობითი სწავლის მეთოდები მათთვის ნაკლებად არის ცნობილი.

მომდევნო კითხვაზე: **„არსებობს პროფესიული განვითარების სხვადასხვა ფორმა: ტრენინგი, მასწავლებელთა თანამშრომლობა, გაკვეთილზე ურთიერთდასწრება, კვლევის ჩატარება, სასწავლო ჯგუფებში მონაწილეობა, გამოცდილების გაზიარებისა და ლიტერატურის გაცნობით, მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრები და ა. შ, მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა, რომელიმე მათგანში, კონკრეტულად, თანამშრომლობითი სწავლის თემატიკასთან დაკავშირებით“?** ინტერვიუერთა პასუხები შემდეგი იყო თანამშრომლობითი სწავლის თემატიკასთან დაკავშირებით ტრენინგები გავლილი ჰქონდა 35 % -ს, გაკვეთილზე ურთიერთდასწრება 42 %-ს, კვლევა არ ჩაუტარებიათ არ ერთს, მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა მიღებული ჰქონდათ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს - 29%-ს, სასწავლო ჯგუფებში, გამოცდილების გაზიარებისა და ლიტერატურის გაცნობით, 57%-ს.

შემდგომი კითხვა, რომლის მიხედვითაც წარიმართა ინტერვიუ მასწავლებლებთან შემდეგი იყო: „მოსწავლეები უმეტეს დროს სკოლაში სხვათა გარემოცვაში, თანატოლებთან ერთად ატარებენ. ჩვენ გვსურს თუ არ გვსურს, ისინი ერთმანეთზე დიდ გავლენას ახდენენ (დადებითსაც და უარყოფითსაც) მნიშვნელოვანი როლი შეუძლიათ ითამაშონ ერთმანეთის თანამშრომლობითი სწავლის მიმართულებითაც. ამ ურთიერთობებში მასწავლებლის როლი განუსაზღვრელად დიდია, ამავე დროს ვალდებულებაც კი არის, მიზნობრივად წარმართოს ეს გავლენა. **რამდენად ახერხებთ ამ „გავლენის“ გამოყენებას მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის ეფექტურად წარმართვის მიზნით?“** - პედაგოგებს ცოტა გაუჭირდათ ამ კითხვის ირგვლივ დადებითი შედეგები დაეფიქსირებინათ. მიუხედავათ მათი მცდელობისა, რომ სურვილი აქვთ გამოიყენონ „გავლენიანი“ მოსწავლეების როლი პროცესის სასურველი და მიზნობრივი მიმართულების წარმართვისათვის, მათ უჭირთ ასეთი პროცესის მართვა. მიზეზად ასახელებენ გაკვეთილის პროცესში მოსწავლეთა თანამშრომლობით დაბალ დონეს, ზოგჯერ „შიშს“ იმისა, რომ პროცესები უმართავი გახდეს, შესაძლებელია მოლოდინი „გავლენის“ გამოყენებისა მიზნობრივი მიმართულებით გამოყენებისა არ გამართლდეს, ნაწილი მასწავლებლებისა ტრადიციული მეთოდების გამოყენების მომხრეა, თუმცა ერთ საერთო აზრი

გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს ბევრი რამის სწავლა შეუძლია ერთმანეთისაგან, „გავლენიან“ მოსწავლეს შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს თანატოლზე და ამ საქმეში მასწავლებლის მოქნილი ტაქტი და რაღაც განსაკუთრებული უნარია საჭირო, რომ მივიღოთ თანატოლთა “ღირსეული“ თანამშრომლობა.

კითხვაზე **„სოციალური ინტერაქცია უდიდეს როლს თამაშობს სასწავლო პროცესის ეფექტიანობის წარმართვისათვის. ამ მიმართულებით გაკვეთილის მსვლელობის პროცესში იყენებენ თანამშრომლობითი სწავლების მეთოდებს, მაგალითად, ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინტერვიუ 3 ნაბიჯი, სეგმენტური მეთოდი, აზროვნების 6 ქუდი... გამოგიყენებიათ სასწავლო პროცესში დასახელებული (ან სხვა) მეთოდები?** მასწავლებელთა უმრავლესობისათვის უფრო მეტად ცნობილია ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, რომლებსაც ხშირად იყენებენ სასწავლო პროცესში. გამოიკვეთა პედაგოგები რომლებისთვისაც ცნობილია სწავლების მეთოდები: „ინტერვიუ 3 ნაბიჯი“, „სეგმენტური მეთოდი“ და „აზროვნების 6 ქუდი“, მაგრამ საგაკვეთილო პროცესში ნაკლებად იყენებენ.

ამ კითხვის ლოგიკური გაგრძელება იყო შემდგომი კითხვა:

თუ არის თქვენთვის ცნობილი, თანამშრომლობითი სწავლების მეთოდების, მაგალითად, ჯგუფური მუშაობა, ინტერვიუ 3 ნაბიჯი, სეგმენტური მეთოდი, აზროვნების 6 ქუდი, სხვა (დაასახელეთ)... აღწერა, როდის და როგორ შეგიძლიათ ისინი გამოიყენოთ, რა უნდა იცოდეთ ამ მეთოდების წარმატებით გამოყენებისათვის, როგორია ამ მეთოდების მიმდინარეობა...? მასწავლებლის პასუხებიდან გამოიკვეთა, რომ ძირითადად იმ მეთოდების აღწერა, გამოყენების პრინციპებია ცნობილი მათთვის, რომელსაც უფრო ხშირად იყენებენ გაკვეთილის პროცესში. მაგალითად, ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა. სამწუხაროთ, ინტერვიუ 3 ნაბიჯი, სეგმენტური მეთოდი, აზროვნების 6 ქუდი, სხვა (დაასახელეთ) ...შესახებ ნაკლებად არის ცნობილი მათთვის.

კითხვაზე **„თანამშრომლობითი სწავლის შესახებ პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით, თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის მისაღებად, პროფესიული განვითარების რომელ ფორმას მიანიჭებთ უპირატესობა? ტრენინგს, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ჩატარებას, სკოლის ბაზაზე პროფესიულ განვითარების ჯგუფებში გაერთიანებას, მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობას სამუშაო შეხვედრებში, გაკვეთილებზე**

ურთიერთდასწრებას, პროფესიული ლიტერატურის გაცნობა თუ სხვა“ ? მასწავლებლების აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობას სამუშაო ჯგუფებში, გამოცდილებისა და გაზიარების მიზნით, პროფესიული ლიტერატურის დამუშავებას ზემოთაღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით, ტრენინგ-პროგრამებში მონაწილეობას, საგნობრივ კათედრებზე შესაბამისი თემატიკის საკითხის განხილვას, ზოგიერთი მასწავლებლისათვის მისაღები აღმოჩნდა პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ჩატარება.

ინტერვიუების შემდგომ შევაგროვე ინფორმაცია და მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ აქვთ გათვითცნობიერებული პედაგოგებს მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის როლი და მნიშვნელობა, რამდენად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში პედაგოგები თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს და სტრატეგიებს, რა ღონისძიებების და აქტივობების განხორციელება სურთ მასწავლებლებს თანამშრომლობითი სწავლის დანერგვასთან მიმართებაში საგაკვეთილო პროცესში.

4.3. კვლევის ძირითადი მიგნებები და დასკვნები

სამოქმედო კვლევის პროცესში გამოყენებულ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდების (ფოკუს ჯგუფი, ინტერვიუ, ანკეტირება) შედეგად შეგროვებული ინფორმაციის რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა კვლევის რამდენიმე მნიშვნელოვანი და ძირითადი მიგნება და დასკვნა:

- მოსწავლეებს სრულყოფილად არა აქვთ განვითარებული ერთმანეთს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარი საგაკვეთილო პროცესში;
- მოსწავლეები ნაწილობრივ იცნობენ თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს (ძირითადად ცნობილია წყვილებში მუშაობა და ჯგუფური მუშაობა);
- მასწავლებლები სრულად ვერ ავლენენ იმ მეთოდების და სტრატეგიების ცოდნას, რომლებიც თანამშრომლობითი სწავლის განვითარებას უწყობს ხელს საგაკვეთილო პროცესში;

- ❖ მასწავლებლები ნაწილობრივ იყენებენ საგაკვეთილო პროცესში თანამედროვე ინტერაქტიულ მეთოდებს (ძირითადად იყენებენ წყვილებში მუშაობა, ჯგუფური მუშაობა), რომლებიც სრულად ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობით სწავლის განვითარებას;
- ❖ მასწავლებლებს ღრმად და საფუძვლიანად არ აქვთ გააზრებული მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის როლი და უპირატესობანი სასწავლო პროცესში;

თავი V ინტერვენცია. ინტერვენციის აღწერა და მისი შედეგები. ინტერვენციის შეფასება

5.1.დაგეგმილი ინტერვენციები

გაანალიზებულ შედეგებზე დაყრდნობით მივიღე გადაწყვეტილება ინტერვენციის დაგეგმვის შესახებ. ჩავთვალე, რომ ინტერვენცია დადებით ზეგავლენას მოახდენდა პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე და ნებისმიერი დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობა ორიენტირებული იქნებოდა მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითს სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაზე. შესაბამისად, შევიმუშავე სავარაუდო ინტერვენციების რამდენიმე ვარიანტი:

ინტერვენცია 1. სამუშაო შეხვედრა (პირველი შეხვედრა) კვლევის პროცესში მონაწილე მასწავლებლებთან (სულ 10 მასწავლებელი), სადაც მოხდება თანამშრომლობითი სწავლის თემატიკასთან დაკავშირებით სხვადასხვა პროფესიული ლიტერატურის დამუშავება და წარმოდგენილი იქნება შესაბამისი პრეზენტაციები კერძოდ,

- ❖ წიგნი „ეფექტური სწავლება სკოლაში“, თავი 7-ის მიხედვით „თანამშრომლობითი სწავლა“, რობერტ ჯ. მარზანო და სხვ... გვ 100-110;
- ❖ ინტერნეტგაზეთი www. Mastsavlebeli.ge “თანამშრომლობითი სწავლა-სწავლება”.12 ივნისი, 2013 თეო ნეფარიძე;

❖ მასწავლებლის წიგნი „ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში“ მიხედვით : თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები „ინტერვიუ 3 ნაბიჯი“, სოფიკო ლობჟანიძე, გვ 61-69;

სამუშაო შეხვედრა (მეორე შეხვედრა) კვლევის პროცესში მონაწილე მასწავლებლებთან (სულ 14 მასწავლებელი), სადაც მოხდება თანამშრომლობითი სწავლის თემატიკასთან დაკავშირებით სხვადასხვა პროფესიული ლიტერატურის დამუშავება და წარმოდგენილი იქნება შესაბამისი პრეზენტაციები კერძოდ,

❖ მასწავლებლის წიგნი „ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში“ მიხედვით : თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები „ჯიგსოუს ტექნიკა“, სოფიკო ლობჟანიძე, გვ 70-77;

❖ მასწავლებლის წიგნი „ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში“ მიხედვით : თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები „სეგმენტური მეთოდი“, სოფიკო ლობჟანიძე, გვ 115-123;

❖ მასწავლებლის წიგნი „ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში“ მიხედვით : „აზროვნების 6 ქუდი“, მაია ფიჩხაძე , გვ 124-138;

ინტერვენცია 2. დამუშავებული თანამშრომლობითი სწავლის მეთოდების გაცნობა მოსწავლეებისათვის; განხილული და დამუშავებული მეთოდების დანერგვა სასწავლო პროცესში, შესაბამისად, გაკვეთილების მომზადება და ჩატარება დამუშავებული და განხილული თანამშრომლობითი სწავლის მეთოდების/სტრატეგიების გამოყენებით;

ინტერვენცია 3. შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრა მასწავლებლებთან, თანამშრომლობითი სწავლა-სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების გაკვეთილებზე დანერგვის პროცესის როლსა და მნიშვნელობაზე, მიღებულ შედეგებზე;

5.2 ინტერვენციების აღწერა

ინტერვენცია 1. -ის მიზანი იყო მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის თემატიკასთან დაკავშირებით პროფესიული ლიტერატურის, სტატიის თუ სხვადასხვა ნაშრომის დამუშავება და, შესაბამისად, მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება. მონაწილეობდა 10 მასწავლებელი უშუალოდ ასწავლიდა მე-9 და მე-10 კლასს.

სამუშაო შეხვედრაზე დამუშავებულ იქნა ლიტერატურა მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის შესახებ. მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო ის, რომ გავეცანით თანამშრომლობითი სწავლის მეთოდის გამოყენების შესახებ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მკვლევარების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს და რეკომენდაციებს. საინტერესო იყო კვლევის დასკვნების გაცნობა თანამშრომლობითი სწავლის პრაქტიკულად გამოყენებისა კლასში, რა კრიტერიუმები უნდა გამოვიყენოთ მოსწავლეთა დასაჯგუფებლად, როგორია კლასში ჯგუფების შექმნის მეთოდოლოგია, რჩევებს ჯგუფის ზომისა და თანამშრომლობითი სწავლის კომბინირების შესახებ გაკვეთილზე დაგეგმილ სხვა აქტივობებთან.

სტატიების განხილვის შედეგად გავეცანით თანამშრომლობითი სწავლის მოდელებს , თეორიულ საფუძვლებს, მეთოდებსა და სტრატეგიებს, დავინახეთ თანამშრომლობითი სწავლის უპირატესობანი ტრადიციულ მეთოდების გამოყენებასთან შედარებით. გავეცანით თანამშრომლობითი სწავლის რამდენიმე სტრუქტურულ მოდელს, გავიაზრეთ, როგორ უნდა წარმართულიყო სასწავლო პროცესი, რომ ხელი შეგვეწყო მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის დამკვიდრებისა და შემდგომ განვითარებისათვის.

ჩვენთვის საინტერესო იყო მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის განვითარების ხელშემწყობი ისეთი სტრატეგიების და მეთოდების გაცნობა, როგორიცაა: „ინტერვიუ 3 ნაბიჯი“, „ჯიგსოუს ტექნიკა“, „სეგმენტური მეთოდი“, „აზროვნების 6 ქუდი“, განვიხილეთ ამ მეთოდების აღწერა, გაკვეთილის რომელ ფაზაში არის რეკომენდირებული მათი გამოყენება.

ინტერვენცია 2. - ის განხორციელებისას მიზნად დავისახე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის შესახებ. მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებს გავაცანი თანამშრომლობითი სწავლის მეთოდები და სტრატეგიები, სწავლის პროცესში მათ დადებითს როლსა და მათი გამოყენების უპირატესობაზე. ასევე წარვუდგინეთ მოსწავლეებს თითოეული მეთოდის აღწერა, მიმდინარეობა და მათი გამოყენება.

განხილული და დამუშავებული მეთოდების დანერგვის მიზნით სასწავლო პროცესში, დავგეგმეთ და ჩავატარეთ გაკვეთილები.

ინტერვენცია 3.-ის შესაბამისად ჩავატარეთ შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრა მასწავლებლებთან, თითოეულმა მასწავლებელმა ისაუბრა თავისი პრაქტიკული გამოცდილებისა და იმ შედეგების შესახებ, მას შემდეგ, რაც სასწავლო პროცესში გამოიყენეს და დანერგეს თანამშრომლობითი სწავლა-სწავლების მეთოდები და სტრატეგიები. როგორ შეუწყო ხელი ამ მეთოდების დანერგვამ მოსწავლეებს პიროვნული და სოციალური უნარების

განვითარებაში, რაც საფუძველი გახდა მათი სწავლის ხარისხის ამაღლებისა და აკადემიური მოსწრების გაზრდისა.

5.3. ინტერვენციის შეფასების ინსტრუმენტები.

ინტერვენციის შეფასებისათვის მასწავლებლების მიერ გამოყენებულ იქნა თვისობრივი კვლევის შემდეგი ინსტრუმენტი:

- ❖ ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან;

5.4. ინტერვენციის შეფასება მასწავლებლების მიერ.

ინტერვენციის შედეგების შეფასებისათვის შევადგინე კითხვები ინტერვიუსათვის. ***(დანართი N3)***. ინტერვიუში მონაწილეობდა ყველა ის მასწავლებელი, რომელიც თავიდანვე მონაწილეობას ღებულობდნენ კვლევის პროცესში - სულ 10 მასწავლებელი, რომლებიც უშუალოდ ასწავლიდა მე-9 და მე-10 კლასს.

ინტერვიუს დასაწყისშივე ინტერვიუში მონაწილე მასწავლებლებს გავაცანი ინტერვიუს მიზანი. შექმნილი იყო გარემო მათი აზრის თავისუფლად და გულახდილად გამოხატვისათვის. ინტერვიუ მიმდინარეობდა 45 წთ-ის განმავლობაში.

გთავაზობთ ინტერვენციის შეფასებას მასწავლებლების მიერ

პირველი კითხვა, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის თემასთან დაკავშირებული სამოქმედო კვლევის პროცესში შეგროვებული ინფორმაციის რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის საფუძველზე ერთ-ერთ მიგნებად და მიზეზად გამოიკვეთა რომ: მასწავლებლებს ღრმად და საფუძვლიანად არ აქვთ გააზრებული მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის როლი და უპირატესობანი სასწავლო პროცესში ანუ მათი ცნობიერების დონე დაბალია. გაანალიზებულ შედეგებზე დაყრდნობით მივიღე გადაწყვეტილება ინტერვენციის დაგეგმვის შესახებ, **იმ მოლოდინით,** რომ ინტერვენცია დადებით ზეგავლენას მოახდენდა პრობლემის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზზე,

კერძოდ, ამაღლდებოდა მასწავლებელთა ცნობიერება ამ მიმართულებით. **კითხვა ასეთია: გამართლდა თუ არა, თქვენი აზრით, ჩემი მოლოდინი?**

სასიამოვნო იყო, რომ მასწავლებლებმა დადებითად შეაფასეს კვლევის პროცესი. აღნიშნეს, რომ მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი საკვლევი თემა იყო წარმოდგენილი კვლევისათვის. მათი თქმით, რა თქმა უნდა, გამართლებულად უნდა ჩაითვალოს მოლოდინი, რადგან დაგეგმილმა და ჩატარებულმა აქტივობებმა, როგორიც იყო მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრები მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის თემატიკასთან დაკავშირებით, პროფესიული ლიტერატურის დამუშავება და შესწავლა, ასევე თანამშრომლობითი სწავლის განვითარებისათვის ხელშემწყობი მეთოდებისა და სტრატეგიების გაცნობა და შესწავლა, მიღებული ცოდნის შემდეგ ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება და შემდგომ ამ გაკვეთილების ანალიზი, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო ჩვენი ცნობიერების ამაღლებას მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის შესახებ, მის როლსა და მნიშვნელობაზე და მის უპირატესობაზე ტრადიციული სწავლის მეთოდების გამოყენებასთან შედარებით.

შემდგომ კითხვაზე: **ჩატარებული ინტერვენციის შედეგად გახდა თუ არა ცნობილი ის ინტერაქტიული მეთოდები და სტრატეგიები , რომელთა გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობდა მოსწავლეებს სოციალური უნარების განვითარებას, რაც საფუძველი გახდებოდა მათ შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარებისათვის?** მასწავლებლებისაგან დადებითი პასუხი მივიღე.

შემდეგ მასწავლებლებს მივმართე, როცა სამოქმედო პედაგოგიური კვლევის ჩატარების პროცესები დავიწყე, ჩემი მიზანი იყო გამეუმჯობესებინა, როგორც ჩემი პედაგოგიური პრაქტიკა, ასევე კვლევაში ჩართული სხვა მასწავლებლების, ანუ თქვენი, საკუთარი პრაქტიკაც, უნდა განხორციელებულიყო ცვლილებები სასწავლო პროცესში, რომელიც წარმატებით შეცვლიდა პრობლემურ ვითარებას. **კითხვაზე როგორ შეიცვალა თქვენი პედაგოგიური პრაქტიკა, რა ცვლილებები განხორციელდა თქვენს პრაქტიკაში? იმოქმედა თუ არა დაგეგმილმა ინტერვენციებმა არსებული პრობლემის მოგვარებაზე?** - მასწავლებლებმა ასეთი პასუხები გამცეს: კვლევის პროცესში ჩვენ, მასწავლებლები, ერთმა მიზანმა გაგვაერთიანა, ამიტომაც აქტიურად ჩავერთეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა საქმიანობაში. გაიზარდა ურთიერთთანამშრომლობა და ერთმანეთისათვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, რაც

აისახა კიდეც სასწავლო პროცესებზე. კვლევის წარმართვამ და კვლევის პროცესში დაგეგმილმა და განხორციელებულმა აქტივობებმა დადებითად იმოქმედა ჩვენს პედაგოგიურ პრაქტიკაზე, ჯერ ერთი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიცვალა ჩვენი ცნობიერება, დამოკიდებულებები მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის შესახებ , მერე მეორე, თანამშრომლობითი სწავლის მეთოდების გამოყენებამ და დანერგვამ სასწავლო პროცესში მოსწავლეებს განუვითარა კომუნიკაციისა და ერთმანეთთან სოციალიზაციის უნარები. ამაღლდა მოსწავლეთა ცნობიერებაც ამ მიმართულებით. რაც მთავარია, ამ მეთოდების გამოყენებამ დადებითი გავლენა მოახდინა სწავლა-სწავლების ხარისხზე და გაიზარდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება.

და ბოლოს, ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი შეკითხვა, რომელიც უშუალოდ ინტერვიუს პროცესში გამიჩნდა, შემდეგში მდგომარეობდა: თქვენ აღნიშნეთ, რომ კვლევის შედეგად განხორციელებულმა ცვლილებებმა დადებითად იმოქმედა მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის პრობლემების მოგვარებაში. **კითხვა 4. თუ არსებობდა სხვა ფაქტორი/ფაქტორები, რომლებსაც, შესაძლოა, ემოქმედა წამოჭრილ პრობლემაზე?**

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კვლევა მიმდინარეობდა 2017 წლის დეკემბრიდან 2018 წლის მაისამდე, ანუ 6 თვე. რა თქმა უნდა, დროს, მოსწავლის განვითარებისათვის მნიშვნელობა ენიჭება, შეიძლება სხვა ფაქტორებიც დავასახელოთ, მე ამ მიმართულებითაც ვამახვილებდი ყურადღებას და ვაკვირდებოდი მოსწავლეებს და მოვლენებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევ პრობლემაზე განსაკუთრებული ზეგავლენა კვლევის ინტერვენციების შედეგად დაგეგმილმა და განხორციელებულმა აქტივობებმა იმოქმედეს. ამასთანავე სკოლაში არ მიმდინარეობდა რაიმე პროცესი და მოვლენა, მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარების განვითარების მიზნით.

5.5. ინტერვენციის შეფასება მოსწავლეების მიერ.

ინტერვენციის შეფასებისათვის მოსწავლეების მიერ გამოყენებულ იქნა შემდეგი რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი:

- ❖ ანკეტირება მოსწავლეებთან - სულ 10 მოსწავლე. სამიზნე ჯგუფი იყო სკოლის მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეები. შეფასებაში გამოყენებულ იქნა სრული შერჩევა. ანკეტირება წარიმართა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით. დანართი 4.

მოსწავლეების მიერ ინტერვენციის შეფასების შედეგები წარმოდგენილია დიაგრამებზე:






როგორ შეუწყო ხელი ინტერვენციამ თქვენი სოციალური უნარების განითარებაში
80%
70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
კარგად
ნაწილობრივ
არ შეუწყო


რომელი მეთოდია ნაცნობი და რომელი ახალი
ნაცნობია
ახალია
120%
100%
80%
60%
40%
20%
0%
წყვილებში მუშაობა
ჯგუფური მუშაობა
სეგმენტური მეთოდი
ინტერვიუ 3 ნაბიჯი
ჯიგსოუს მეთოდი
აზროვნების 6 ქუდი


გამოიყენებოდეს თუ არა სასწავლო პროცესში
თანამშრომლობითი სწავლის მეთოდები
30%
10%
60%
დიახ
არა
ზოგჯერ შესაძლებელია სხვა
მეთოდების გამოყენება


სწავლების რომელს ფორმას მიანიჭებდით უპირატესობას
80%
70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
ინდივიდუალურს
თანამშრომლობითს
მთელ კლასთან ერთად

თავი VI კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები

6.1. კვლევის მიგნებები - სამოქმედო კვლევის პროცესში გამოყენებულ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდების (ფოკუს ჯგუფი, ინტერვიუ, ანკეტირება) შედეგად შეგროვებული ინფორმაციის რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა კვლევის რამდენიმე მნიშვნელოვანი და ძირითადი მიგნება:

- მოსწავლეებს სრულყოფილად არა აქვთ განვითარებული ერთმანეთს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარი საგაკვეთილო პროცესში;
- მოსწავლეები ნაწილობრივ იცნობენ თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს (წყვილებში მუშაობა და ჯგუფური მუშაობა);
- მასწავლებლები სრულად ვერ ავლენენ იმ მეთოდების ცოდნას, რომლებიც თანამშრომლობითი სწავლის განვითარებას უწყობს ხელს საგაკვეთილო პროცესში;
- მასწავლებლები ნაწილობრივ იყენებენ საგაკვეთილო პროცესში თანამედროვე ინტერაქტიულ მეთოდებს (ძირითადად, წყვილებში მუშაობა, ჯგუფური მუშაობა), რომლებიც სრულად ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობით სწავლის განვითარებას;
- მასწავლებლებს ღრმად და საფუძვლიანად არ აქვთ გააზრებული მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის როლი და უპირატესობანი სასწავლო პროცესში;
- მასწავლებლები არ ეცნობიან თანამშრომლობითი სწავლის თემატიკაზე სხვადასხვა პროფესიულ ლიტერატურას თუ სტატიას;
- შესაბამისად ნაკლებად ხდება მასწავლებლების მხრიდან მოსწავლეებისათვის თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებისა და სტრატეგიების გაცნობა;
- მასწავლებლები აქტიურად არ მონაწილეობენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა საქმიანობაში;

6.2. რეკომენდაციები - სამოქმედო კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავე შემდეგი რეკომენდაციები:

- მასწავლებლებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა საქმიანობაში, ეს სკოლის ბაზაზე იქნება თუ სკოლის გარეთ;
- მიღებული ცოდნა აქტიურად გამოიყენონ და დანერგონ თავიანთ პედაგოგიურ პრაქტიკაში. ეფექტურად გამოიყენონ გაკვეთილზე თანამედროვე სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითს სწავლას;
- მასწავლებლებმა უზრუნველყონ სწავლების პროცესში ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს შორის პიროვნული და სოციალური უნარების გაუმჯობესებას, რაც აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის განვითარებას;
- მასწავლებლებმა გააცნონ მოსწავლეებს თანამშრომლობითი სწავლის მეთოდები და სტრატეგიები;

თავი VII კვლევის შედეგების გაზიარება - რეფლექსია

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პროცესი საინტერესოდ და ეფექტურად წარიმართა, როგორც ჩემთვის, ასევე კვლევის პროცესში ჩართული მასწავლებლებისათვის. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი კვლევის თითქმის ყველა ეტაპზე, კვლევის დასაწყისში, მონაცემების შეგროვების, ინტერვენციების დაგეგმვისა და განხორციელების, ინტერვენციის შეფასების პროცესში. ინტერვენციების დაგეგმვაში მასწავლებლებს ვთხოვე, ერთად დაგვეგემა და გაგვეხორციელებინა ინტერვენციები. მათ მნიშვნელოვანი ცოდნა და დიდი გამოცდილება მიიღეს. მათს უკუკავშირს არა მარტო კვლევის დასრულებისას, არამედ კვლევის პროცესშიც ვიღებდი. ისეთი აქტივობები იყო დაგეგმილი და განხორციელებული, აზრის გაცვლა-გამოცვლას თავისთავად მოითხოვდა: იყო ეს მასწავლებლის სამუშაო შეხვედრები, პრეზენტაციები, გაკვეთილის ერთობლივი დაგეგმვა და მომზადება, მოსწავლეებთან ურთიერთობები თუ მასწავლებლის პირადი ინტერესი კვლევის მიმდინარეობის შესახებ. ჩემთვის კიდევ უფრო საინტერესო აღმოჩნდა იმ პედაგოგებისათვის კვლევის შედეგების

გაცნობა და გამოცდილების გაზიარება, რომლებმაც არ ისურვეს თავიდან კვლევის პროცესში ჩართვა, მათი აზრით, ყველაფერ ამას ხომ ყოველდღიურად ვაკეთებთ, მაგრამ ბოლოს მათაც გაუჩნდათ დიდი ინტერესი კვლევის შედეგების, მისი სარგებლის, კვლევის ჩატარების პროცესებისა და მიმდინარეობის შესახებ გაცნობისა, ამიტომ დავგეგმეთ და აქტიურად ჩავერთე საგნობრივ კათედრების მუშაობაში კვლევის შედეგების გაცნობის მიზნით. პრეზენტაციების განხილვისას და გაზიარებისას მიღებული უკუკავშირიდან მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ რასაც ისინი „ყოველდღიურ კეთებას“ უწოდებდნენ უფრო სტრუქტურირებული და ორგანიზებული სახე აქვს, მას უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია, ვიდრე არასტრუქტურირებულ და არაორგანიზებულ პროცესებს. მასწავლებლებისათვის საინტერესო აღმოჩნდა არა მარტო კვლევის პროცესი, არამედ საკვლევი საკითხიც.

მასწავლებლებისათვის კვლევის შედეგების გაცნობასა და გაზიარებას ძალზე მნიშვნელოვანი და მიზნობრივი ღირებულება აქვს სასწავლო პროცესში წარმოშობილი პრობლების გადაჭრისა და არასასურველი ვითარების გაუმჯობესებისათვის. მათ დააფიქრებთ ის, რომ პედაგოგიური კვლევის ჩატარება ხელს შეუწყობს საკუთარ პროფესიულ ზრდას, საკუთარ სანდო მონაცემებზე დაყრდნობით შეეცდებიან გააუმჯობესონ თავიანთი პედაგოგიური პრაქტიკა, განახორციელონ ცვლილებები, რომლებიც სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ იქნება მიმართული და საბოლოო მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე დადებითად აისახება. კვლევის ჩატარების სურვილი გაუჩნდათ რამდენიმე მასწავლებელსაც. თუნდაც ერთ მასწავლებელსაც რომ ეს სურვილი გასჩენოდა, მაშინაც ჩავთვლიდი ჩემს დიდ მიღწევად, მითუმეტეს, როცა ეს სურვილი უკვე რამდენიმე მასწავლებელს აქვს. ჩვენ შევთანხმდით ურთიერთთანამშრომლობაზე და დახმარების იმედიც აღვუთქვით, მთავარია, მასწავლებლებს უნდოდეთ ღირებული ცვლილებების განხორციელება თავიანთ პედაგოგიურ პრაქტიკაში.

დასკვნა

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანის საჯარო სკოლის მე-9 და მე-10 კლასში ჩავატარე პედაგოგიური კვლევა. კვლევამ აჩვენა, რომ არის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება მასწავლებლის პედაგოგიურ პრაქტიკაში წარმოქმნილი პრობლემის იდენტიფიცირების და მისი გადაწყვეტის. კვლევის მთავარი საკვლევი კითხვა იყო : „როგორ უზრუნველვყოთ

საგაკვეთილო პროცესში მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარება“. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო, შემესწავლა ამ კლასებში გაკვეთილის პროცესში მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის მდგომარეობის საკითხი, მომეპოვებინა და შემეგროვებინა ინფორმაცია, როგორ აქვთ განვითარებული მოსწავლეებს პიროვნული და სოციალური უნარები, რომელთა ფლობაც მნიშვნელოვნად განაპირობებს სწავლების პროცესში მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის ეფექტიანად და ეფექტურად გამოყენებას, მომეხდინა პრობლემის იდენტიფიცირება, დამედგინა პრობლემის მიზეზები და არსებული მდგომარეობის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის შედეგად დამესახა ამ პრობლემების გაუმჯობესებისა და გადაჭრის გზები. სამოქმედო კვლევის ჩატარების პროცესში მიღებულ შედეგებსა და მიგნებებზე დაყრდნობით შემემუშავებინა რეკომენდაციები, შემდგომ სასწავლო პროცესებში ცვლილებების შეტანის მიზნით გაგვეხორციელებინა ინტერვენციები, რომლებიც დადებით ზემოქმედებას მოახდენს პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე.

დაგეგმილმა და განხორციელებულმა ინტერვენციამ, გააუმჯობესა და ხელი შეუწყო გაკვეთილზე მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარებას და მათ სოციალიზაციას, რის შედეგადაც მოსწავლეები გახდნენ თანამგრძნობნი, ემპათიურები და ტოლერანტები. გაუჩნდათ ერთმანეთთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის სურვილი, გახდნენ ერთმანეთის მიმართ გულისხმიერნი და ყურადღებიანი, ერთობლივად წყვეტდნენ სასწავლო პროცესში წარმოქმნილ პრობლემებს და პოულობდნენ ამ პრობლემის გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს, პატივს სცემდნენ ერთმანეთის აზრს, უბიძგებდნენ ერთმანეთს ახალი იდეებისა და აზრების ჩამოყალიბებას, იზიარებდნენ ერთმანეთის იდეებს და შეხედულებებს;

ვფიქრობ, რომ განხორციელებული კვლევის შედეგად მიღებული შედეგებმა ხელი შეუწყო არსებული ცოდნისა და პრაქტიკის გაღრმავებასა და გააუმჯობესას. საბოლოოდ, გაუმჯობესდა სასწავლო პროცესში სწავლა-სწავლების ხარისხი, რამაც დადებითად იმოქმედა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე.

ბიბლიოგრაფია

1. სამოქმედო კვლევის სახელმძღვანელო, წიგნი I , წიგნი II, დავით ლიპარტელიანი, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი. 2018 ;

2. ინასარიძე მ, ლობჟანიძე ს, რატიანი მ, სამსონია ი. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ ნაწილი II მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016;

3. ლობჯანიძე ს. „როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები“ ინტერნეტჟურნალი „მასწავლებელი“ 2012 წლის 3 მაისი; http://mastsavlebeli.ge/?p=281

4. „ეფექტური სწავლება სკოლაში“, კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები, რომლებიც აუმჯობესებენ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას, რობერტ ჯ. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, ჯეინ ი. ფოლოქი გვ. 100-110; მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2009;

5. მასწავლებლის წიგნი , ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში, ლობჟანიძე ს. ფიჩხაძე მ. რატიანი მ. ლომიძე ნ. ჭიაბრიშვილი ნ. თედორაძე რ. ჯალიაშვილი მ. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016; http://mastsavlebeli.ge/?p=12755

6. სტატია „გუნდური მუშაობა“ 20 მაისი, 2013 დავით ბოლქვაძე 2013, http://mastsavlebeli.ge/?p=2362

7. „კლასის მართვა“ კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები მასწავლებლებისათვის, რობერტ ჯ. მარზანო, იანა ს. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი თავი 6. მოსწავლის პასუხისმგებლობა კლასის მართვაზე, (გვ 94);

8. ინტერნეტგაზეთი www. Mastsavlebeli.ge “თანამშრომლობითი სწავლა-სწავლება”.12 ივნისი, 2013 ნეფარიძე თ. http://mastsavlebeli.ge/?p=2342

9. სახელმწიფო შეფასება , მათემატიკა - IX კლასი) , თავი 8. რეკომენდაციები. III. მოსწავლის დამოკიდებულებები მათემატიკისადმი, (გვ. 180);

10. „სტატიები განათლების საკითხებზე“, 2010. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. ემოციური ფაქტორები: ცნობისმოყვარეობა და მიზანდასახულობა (გვ 142-143)

11. ჯგუფური მუშაობის როლი სასწავლო ქმედებების ფორმირებაში

3 აპრილი, 2015 მაია ფირჩხაძე http://mastsavlebeli.ge/?p=1721

დანართები:

<u>დანართი N1</u>

გაცნობებთ, რომ კვლევა ტარდება საგაკვეთილო პროცესში მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის პრობლემებთან დაკავშირებით. სანამ კითხვარს წარმოგიდგენთ, მინდა გითხრათ, რომ თქვენი ანონიმურობა მაქსიმალურად იქნება დაცული. წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის და კვლევაში მონაწილეობისათვის.

კლასი ----------

სქესი: ა) გოგონა

ბ) ბიჭი

1. შეგიძლია თანატოლებთან ახლო ურთიერთობების დამყარება, რათა ჰარმონიულად იმოქმედონ ერთობლივად?

   ა) ყოველთვის კარგად ვახერხებ

   ბ) ცოტა მიჭირს

   გ) ვერ ვახერხებ

2. შეგწევს უნარი გულდასმით მოუსმინო შენს თანატოლს, გამოხატო მათი შეხედულებებისადმი პატივისცემა, თუნდაც ისინი არ ემთხვეოდეს შენსას?

   ა) კარგად შემწევს ეს უნარი

   ბ) ზოგჯერ ვახერხებ

   გ) არ მაქვს ასეთი სურვილი

3. შეგიძლია აღიარო შენს თანატოლებში ღირსებები და მათი ძლიერ მხარეები?

   ა) ყოველთვის შემიძლია

   ბ) დამოკიდებულია სიტუაციაზე

   გ) მაღიზიანებს თანატოლების ღირსებები და ძლიერი მხარეები

4. რამდენად შეგწევს უნარი დაეხმარო თანატოლს და იზრუნო მასზე?

ა) ძალიან კარგად

ბ) ზოგჯერ მაქვს სურვილი

გ) არ მაქვს ასეთი სურვილი

5. შეგწევს უნარი შექმნილი კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვისა მშვიდობიანი გზით?

ა) ყოველთვის შემიძლია

ბ) სურვილი მაქვს, მაგრამ შიში მიპყრობს

გ) არ მაქვს ასეთი სურვილი

6. შეგიძლია თუ არა საკუთარი ემოციების მართვა?

ა) ყოველთვის შემიძლია

ბ) ზოგჯერ შემიძლია

გ) მიჭირს ემოციების მართვა

7. გაქვს თუ არა საკუთარი თავის რწმენა?

ა) ყოველთვის

ბ) ზოგჯერ

გ) არ ვარ დარწმუნებული ჩემს შესაძლებლობებში

8. ხართ თვითკრიტიკული?

ა) ყოველთვის

ბ) ზოგჯერ

გ) არასოდეს

9. გსურს იყო სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილე?

ა) ყოველთვის მსურს

ბ) ზოგჯერ , დამოკიდებულია ჩემს განწყობაზე

გ) დამოკიდებულია მასწავლებელზე

დ) არასოდეს არ მაქვს სურვილი სასწავლო პროცესში ჩართვის

10. ხარ თუ არა ტაქტიანი?

ა) დიახ ბ) არა; გ) ზოგჯერ;

11. მეტ დროს მარტო ატარებ თუ თანატოლებთან ერთად?

ა) ყოველთვის თანატოლებთან ვარ

ბ) დამოკიდებულია სიტუაციაზე

გ) მირჩევნია მარტო ყოფნა

12. ვისთან გსურთ უმეტესად ურთიერთობა?

ა) გოგონებთან

ბ) ბიჭებთან

გ) ორივესთან

დ)არავისთან

13. თანატოლის აკადემიური მოსწრების თვალსაზრისით ვის ანიჭებ უპირატესობას ურთიერთობისათვის?

ა) ჩემთვის მნიშვნელოვანია წარმატებულ თანატოლთან ურთიერთობა

ბ) ჩემთვის მნიშვნელოვანია დაბალი აკადემიური მოსწრების თანატოლთან ურთიერთობა საკუთარი უპირატესობის წარმოჩენის მიზნით

გ) ჩემთვის მნიშვნელოვანია დაბალი აკადემიური მოსწრების თანატოლთან ურთიერთობა მისთვის დახმარების მიზნით

დ) ურთიერთობისათვის არ ვანიჭებ მნიშვნელობას მის აკადემიურ მოსწრებას

14. იცი, რას ნიშნავს თანამშრომლობითი სწავლა?

ა) დიახ ბ) არა;

15. სწავლების რომელ ფორმას მიანიჭებ უპირატესობას

ა) ინდივიდუალურს

ბ) წყვილებში მუშაობას

გ) ჯგუფურს

დ) მთელ კლასთან ერთად

16. სწავლების რომელი ფორმა გამოიყენება გაკვეთილების პროცესში უფრო ხშირად?

ა) დამოუკიდებელი მუშაობა

ბ) წყვილებში მუშაობა

გ) ჯგუფური მუშაობა

დ) მთელ კლასთან ერთად მუშაობა

17. იცნობთ თუ არა თანამშრომლობითი სწავლების მეთოდს - „ინტერვიუ 3 ნაბიჯი“ ?

ა) დიახ ბ) არა;

18. იცნობთ თუ არა თანამშრომლობითი სწავლების მეთოდს - ჯიგსოუს ტექნიკა“ ?

ა) დიახ ბ) არა;

19. იცნობთ თუ არა თანამშრომლობითი სწავლების მეთოდს - „სეგმენტური მეთოდი“ ?

ა) დიახ ბ) არა;

20. იცნობთ თუ არა თანამშრომლობითი სწავლების მეთოდს - „აზროვნების ექვსი ქუდი“ ?

ა) დიახ ბ) არა;

<u>დანართი N2</u>

კითხვა 1.

თანამედროვე განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების მოთხოვნების შესაბამისად, როცა აქცენტი გაკეთებულია მოსწავლეზე და მოსწავლის შედეგებზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს შექმნაზე, დიდად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მასწავლებელს, რამეთუ მოსწავლეებს ხელი შეუწყოს ისეთ უნარების განვითარებას, რომელთა გარეშე 21-ე საუკუნეში მათ გაუჭირდებათ თვითრეალიზაცია და დამკვიდრება. სკოლისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკვანძო საკითხს სწორედ წარმოადგენს მოსწავლის პიროვნული და სოციალური უნარების ჩამოყალიბება და განვითარება. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი, რომელსაც საგაკვეთილო პროცესში (და არა მარტო აქ) ვიყენებთ არის, თანამშრომლობითი სწავლა. ***რამდენად არის ცნობილი თქვენთვის თანამშრომლობითი სწავლის არსი და მნიშვნელობა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას?***

კითხვა 2.

სწავლის ეფექტურობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სასწავლო პროცესში სხვადასხვა სტრატეგისა და მეთოდების გამოყენება. ***რამდენად იცნობთ სწავლების იმ თანამედროვე მეთოდებს/სტრატეგიებს, რომელთა გამოყენებითაც სასწავლო პროცესი არ იქნება მოსწავლეებისათვის მოსაწყენი და, ამავე დროს, მათ განუვითარდებათ თანამშრომლობითი უნარები?***

კითხვა 3.

პროფესიული განვითარება ჩვენი საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისა და წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. არსებობს პროფესიული განვითარების სხვადასხვა ფორმა: ტრენინგი, მასწავლებელთა თანამშრომლობა, გაკვეთილზე ურთიერთდასწრება, კვლევის ჩატარება, სასწავლო ჯგუფებში მონაწილეობა, გამოცდილების გაზიარებისა და ლიტერატურის გაცნობით, მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრები და ა. შ, ***მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა, რომელიმე მათგანში, კონკრეტულად, თანამშრომლობითი სწავლის თემატიკასთან დაკავშირებით?***

კითხვა 4.

მოსწავლეები უმეტეს დროს სკოლაში სხვათა გარემოცვაში, თანატოლებთან ერთად ატარებენ. ჩვენ გვსურს თუ არ გვსურს, ისინი ერთმანეთზე დიდ გავლენას ახდენენ (დადებითსაც და უარყოფითსაც) მნიშვნელოვანი როლი შეუძლიათ ითამაშონ ერთმანეთის თანამშრომლობითი სწავლის მიმართულებითაც. ამ ურთიერთობებში მასწავლებლის როლი განუსაზღვრელად დიდია, ამავე დროს ვალდებულებაც კი არის, მიზნობრივად წარმართოს ეს გავლენა. ***რამდენად ახერხებთ ამ „გავლენის" გამოყენებას მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის ეფექტურად წარმართვის მიზნით?***

კითხვა 5.

სოციალური ინტერაქცია უდიდეს როლს თამაშობს სასწავლო პროცესის ეფექტიანობის წარმართვისათვის. ამ მიმართულებით გაკვეთილის მსვლელობის პროცესში იყენებენ თანამშრომლობითი სწავლების მეთოდებს, მაგალითად, ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინტერვიუ 3 ნაბიჯი, სეგმენტური მეთოდი, აზროვნების 6 ქუდი და ა. შ. ***გამოგიყენებიათ სასწავლო პროცესში დასახელებული (ან სხვა) მეთოდები?***

კითხვა 6.

თუ არის თქვენთვის ცნობილი, თანამშრომლობითი სწავლების მეთოდების, მაგალითად, ჯგუფური მუშაობა, ინტერვიუ 3 ნაბიჯი, სეგმენტური მეთოდი, აზროვნების 6 ქუდი, სხვა(დაასახელეთ)... აღწერა, როდის და როგორ შეგიძლიათ ისინი გამოიყენოთ, რა უნდა იცოდეთ ამ მეთოდების წარმატებით გამოყენებისათვის, როგორია ამ მეთოდების მიმდინარეობა...?

კითხვა 7.

თანამშრომლობითი სწავლის შესახებ პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით, თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის მისაღებად, პროფესიული განვითარების რომელ ფორმას მიანიჭებთ უპირატესობა? ტრენინგს, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ჩატარებას, სკოლის გაზაზე პროფესიულ განვითარების ჯგუფებში გაერთიანებას, მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობას სამუშაო შეხვედრებში, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, პროფესიული ლიტერატურის გაცნობა თუ სხვა?

<u>დანართი N3</u>

კითხვები მასწავლებლებთან ინტერვიუსათვის

მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის თემასთან დაკავშირებული სამოქმედო კვლევის პროცესში შეგროვებული ინფორმაციის რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის საფუძველზე ერთ-ერთ მიგნებად და მიზეზად გამოიკვეთა, რომ: მასწავლებლებს ღრმად და საფუძვლიანად არ აქვთ გააზრებული მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის როლი და უპირატესობანი სასწავლო პროცესში, ანუ მათი ცნობიერების დონე დაბალია. კვლევის ჯგუფმა გაანალიზებულ შედეგებზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება ინტერვენციის დაგეგმვის შესახებ, **იმ მოლოდინით,** რომ ინტერვენცია დადებით ზეგავლენას მოახდენდა პრობლემის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზზე, კერძოდ ამაღლდებოდა მასწავლებელთა ცნობიერება ამ მიმართულებით.

კითხვა 1. ასეთია: გამართლდა თუ არა, თქვენი აზრით, კვლევის ჯგუფის ეს მოლოდინი?

კვლევამ დაადასტურა, რომ მასწავლებლები სრულად ვერ ავლენენ იმ მეთოდების და სტრატეგიების ცოდნას, რომლებიც მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის განვითარებას უწყობს ხელს საგაკვეთილო პროცესში;

კითხვა 2. ჩატარებული ინტერვეციის შედეგად გახდა თუ არა ცნობილი ის ინტერაქტიული მეთოდები და სტრატეგიები , რომელთა გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობდა მოსწავლეებს სოციალური უნარების განვითარებას, რაც საფუძველი გახდებოდა მათ შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარებისათვის?

როცა სამოქმედო პედაგოგიური კვლევის ჩატარების პროცესები დავიწყე, ჩემი მიზანი იყო გამეუმჯობესებინა, ჩემი საკუთარი პრაქტიკა, უნდა განხორციელებულიყო ცვლილებები სასწავლო პროცესში, რომელიც წარმატებით შეცვლიდა პრობლემურ ვითარებას.

კითხვა 3. როგორ შეიცვალა თქვენი პედაგოგიური პრაქტიკა, რა ცვლილებები განხორციელდა თქვენს პრაქტიკაში? იმოქმედა თუა რა დაგეგმილმა ინტერვენციებმა არსებული პრობლემის მოგვარებაზე?

და ბოლოს ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი შეკითხვა.

კითხვა 4. მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის პრობლემების მოგვარებაში კვლევის შედეგად განხორციელებულმა ცვლილებებმა იმოქმედა თუ არსებობდა სხვა ფაქტორი/ფაქტორები, რომლებსაც შესაძლოა ემოქმედა წამოჭრილ პრობლემაზე?

დანართი N 4

კითხვარი შემუშავებულია კვლევის ჯგუფის მიერ კვლევის შედეგად გამხორციელებული ინტერვენციის შეფასების მიზნით, მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეების მიერ. წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის და კვლევის შეფასებაში მონაწილეობისათვის.

1. თუ შეუწყო ხელი სასწავლო პროცესში განხორციელებულმა აქტივობებმა თქვენი სოციალური უნარების განვითარებას ?
    1. კარგად
    2. ნაწილობრივ
    3. არა
    4. თავს ვიკავებ პასუხისაგან
2. გაეცანით თანამშრომლობითი სწავლის ახალ მეთოდებს
    1. დიახ

2. არა

3.

გააკეთეთ ასეთი ნიშანი - „ X“ , ყოველი სტრიქონის გასწვრივ			
	მეთოდი	**ნაცნობია**	**ახალია**
1.	წყვილებში მუშაობა		
2.	ჯგუფური მუშაობა		
3.	სეგმენტური მეთოდი		
4.	ინტერვიუ 3 ნაბიჯი		
5.	ჯიგსოუს ტექნიკა		
6.	აზროვნების 6 ქუდი		

3. გაიაზრეთ, რას ნიშნავს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლა?

ა) დიახ ბ) არა;

4. უნდა გამოიყენებოდეს თუ არა სასწავლო პროცესში მუდმივად მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის მეთოდები?

1. დიახ
2. არა
3. ზოგჯერ შესაძლებელია სხვა მეთოდების გამოყენებაც

4. სწავლების რომელ ფორმას მიანიჭებდით უპირატესობას გაკვეთილზე? .

1. ინდივიდუალურს
2. თანამშრომლობითს
3. მთელ კლასთან ერთად

5. თანამშრომლობითი სწავლის მეთოდების გამოყენებამ როგორ იმოქმედა თქვენს აკადემიურ შედეგებზე?

1. კარგად
2. საშუალოდ

3. არ შეცვლილა
4. თავს ვიკავებ პასუხს გაცემისაგან.